Center for American Progress

ICCN

საქართველოს კონფლიქტებში პროგრესის მოკლე ვადაში მიღწევის გეგმა

ავტორები: სემუელ ჩარაპი, ქორი უელტი

საქართველოს კონფლიქტებში პროგრესის მოკლე ვადაში მიღწევის გეგმა

ანგარიშის ავტორები:
კორი უელტი, ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტი
სამუელ ჩარაპი, ამერიკის პროგრესის ცენტრი

ქართული ტექსტის რედაქტორი: შორენა ლორთქიფანიძე. კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი

ანგარიშის ქართული თარგმანი მომზადდა და გამოიცა კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის (თბილისი, საქართველო) მიერ, ფრიდრიხ ებერტის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

ანგარიშის შესახებ

თქვენს ხელთ არსებული დოკუმენტი წარმოადგენს ამერიკის პროგრესის ცენტრის მიერ მომზადებული ანგარიშის: „ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა საქართველოს კონფლიქტების მიმართ“, შემოკლებულ ვარიანტს, დოკუმენტი 2011 წლის თებერვალში მომზადდა (იხ. ინგლისური ვერსია ვებ გვერდზე http://ampr.gs/georgiaconflicts). კვლევის ავტორებმა 2010 წლის დეკემბერში იმოგზაურეს რეგიონში, მოსკოვსა და თბილისში შეხვდნენ ოფიციალურ პირებსა და მთავრობის მრჩევლებს, დამოუკიდებელ ექსპერტებსა და აშშ-ს საელჩოს წარმომადგენლებს საქართველოს დედაქალაქში. თბილისში ავტორები ესაუბრნენ პარლამენტარებს, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ასევე ევროკავშირის მონიტორინგის მისიის წევრებს. ასევე მოინახულეს საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებული ტერიტორიები კონფლიქტის ზონის საზღვართან, შეხვდნენ ევროკავშირის მონიტორინგის მისიის წარმომადგენლებს გორსა და ზუგდიდში. ესაუბრნენ ადგილობრივ ოფიციალურ პირებსა და იძულებით გადაადგილებულ ადამიანებს. ანგარიში სწორედ ამ ინტერვიუებზე დაყრდნობით მომზადდა.

ავტორების შესახებ

სამუელ ჩარაპი – ამერიკის პროგრეს ცენტრის რუსეთისა და ევრაზიის კვლევითი ცენტრის დირექტორი, (ამერიკის პროგრესის ცენტრი წარმოადგენს კვლევით ორგანიზაციას ვაშინგტონში). სამუელ ჩარაპის კვლევის სფეროს წარმოადგენს შიდა პოლიტიკა, პოლიტეკონომია, პოსტ-საბჭოთა ქვეყნების საგარეო პოლიტიკა, და ამერიკის პოლიტიკა პოსტ-საბჭოთა სივრცეში.

სამული წერს სხვადასხვა გამოცემისათვის: *“The Washington Quarterly”, ”International Herald Tribune”*, *“Current History”*, *“The Guardian”,”Washington Post”, “New York Times.”*

სამუელ ჩარაპს აქვს ოქსფორდის უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხი პოლიტიკურ მეცნიერებაში და მაგისტრის ხარისხი რუსეთისა და ევროპულ კვლევებში. ბაკალავრის ხარისხი მიიღო ამჰერსტის კოლეჯში (მასაჩუსეტსი). მუშაობდა მოსკოვის კარნეგის ცენტრში და კიევის პოლიტიკის კვლევის საერთაშორისო ცენტრში. ფულბრაიტის სტიპენდიით მივლინებული იყო მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტში. ასევე მუშაობდა ნატო-ს სამეკავშირეო ოფისში კიევში.

კორი უელტი – ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ელიოტის სკოლის, ევროპული, რუსეთისა და ევრაზიული კვლევების ინსტიტუტის ასოცირებული დირექტორი და პროფესორი. ევრაზიული პოლიტიკის, კონფლიქტებისა და უსაფრთხოების საკითხების (განსაკუთრებით კავკასიის რეგიონის) სპეციალისტი, ელიოტის სკოლაში ასწავლის რუსეთის, ევრაზიისა და სამხრეთ კავკასიის ისტორიას, უსაფრთხოებასა და პოლიტიკას.
კორი ავტორია რამდენიმე კვლევის კონფლიქტების გადაწყვეტის, ტრანსსასაზღვრო უსაფრთხოებისა და საქართველოში პოლიტიკური ცვლილებების შესახებ. იგი

მუშაობს მრავალი მიმარულებით: მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობა, დემოკრატიზაცია, საგარეო პოლიტიკა.
კორი 2007-2009 წლებში იყო ჯორჯტაუნის უნივერსიტეტის ევრაზიის სტრატეგიული პროექტის ასოცირებული დირექტორი, ხოლო 2009 წლიდან დირექტორი. კორი უელტი ფლობს მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხს პოლიტიკურ მეცნიერებაში, სტენფორდის უნივერსიტეტის მაგისტრისა და ბაკალავრის ხარისხს პოლიტიკურ მეცნიერებაში.

სამადლობელი

ანგარიშის მომზადებაში დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენს კოლეგებს, რომელთაც თავიანთი კომენტარებითა და რჩევებით მნიშვნელოვნად გაამდიდრეს კვლევა. განსაკუთრებული მადლობა მთავრობებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომელთაც ჩვენს მრავალ კითხვას პასუხი გასცეს. კვლევის მომზადებაში მნიშვნელოვანი მონაწილეობა მიიღეს კვლევის ასისტენტებმა: ჰანა ვანჰაუზმა, იულია ფილინოვიკამ, და ვაილდერ ბალარდმა. დიდი მადლობა გვსურს გადავუხადოთ კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევით ცენტრს ქართული ვერსიის გამოცემისათვის და ფრიდრიხ ებერტის ფონდს ქართული გამოცემის ფინანსური მხარდაჭერისათვის. ასევე შორენა ლორთქიფანიძეს კვლევის რედაქტირებისათვის.

ავტორების წინასიტყვაობა ანგარიშის ქართული გამოცემისათვის

ქართული კონფლიქტები (როგორც ცნობილია არსებობს სამი ურთიერდაკავშირებული კონფლიქტი: ქართულ-რუსული, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური) პრინციპული საკითხების გაგების თვალსაზრისით ერთმანეთისაგან მეტად განსხვავდება. პრინციპულ საკითხებში ვგულისხმობთ – საქართველოს საზღვრების განლაგების შესახებ დავა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსი, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მედვედევ-სარკოზის შეთანხმების პირობების ფორმულირება, ასევე რუსეთის სამხედრო განაყოფების საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის კანონიერების საკითხი და ბოლოს, კონფლიქტის მხარეების განსაზღვრა.

ეს გამყოფი ხაზები ყველასთვის კარგად არის ცნობილი. ამ პირობებში როგორ უნდა მიაღწიოს საქართველომ თავის მიზნებს – კონფლიქტების გადაწყვეტა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოში რეინტეგრაცია, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ნორმალიზაცია, და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ჩვენი აზრით, ამ პროცესში ყველაზე ეფექტური გზა იქნება, თუ მოხდება ფოკუსირება მხარეებს შორის არსებულ საერთო საფუძვლებსა და ინტერესებზე.

და რა არის ეს საერთო საფუძველი, საერთო ინტერესი? მიუხედავად, მხარეებს შორის არსებული მრავალი უთანხმოებისა, თითოეულმა მათგანმა საჯაროდ დადო პირობა, რომ არ დაუშვებს რეგიონში სისხლისღვრის განახლებას. ეს ნიშნავს, რომ მათ აერთიანებთ კონფლიქტის პრევენციისა და ნდობის მშენებლობის ინტერესები.

აღნიშნულ ანგარიშში ჩვენ გთავაზობთ გეგმას, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ ნაბიჯებს იმისათვის, რომ არ მოხდეს ძალადობის განახლება, უკეთესობისაკენ შეიცვალოს კონფლიქტებისაგან დაზარალებული ადამიანების ცხოვრება და შეიქმნას ნდობის ატმოსფერო. არც ერთი ამ ნაბიჯთაგანი არ აიძულებს საქართველოს მთავრობას პრინციპულ საკითხებზე შეცვალოს თავისი პოზიცია: საზღვრების განლაგება, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სტატუსი, რუსეთის სამხედროების არაკონონიერი ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე. მაგრამ ეს ნაბიჯები ასევე შესაძლებელია, რომ განხორციელდეს იმიტომ, რომ ასევე არ ავალდებულებს სხვა მხარეებს პოზიციები შეიცვალონ.

ჩვენი რეკომენდაციები საშუალებას იძლევა შექმნას პირობები გრძელვადიანი პროცესისათვის, რომელიც საშუალებას მისცემს ყველა მხარეს გადახედოს თავის პოზიციებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოს კარგი შესაძლებლობა ეძლევა მიიღოს ის, რაც სურს, თუ დაანახებს მხარეებს, რომ საქართველოს სურვილი მათ ინტერესებს ემთხვევა.

კომენტარი ანგარიშის ქართული გამოცემისათვის

სიამოვნებით ვწერ კომენტარს ჩარაპისა და უელტის კვლევაზე, რადგან მათი ნაშრომის ძირითადი არსი დიდწილად ემთხვევა აფხაზებისა და ქართველების ერთობლივი მომავლის შესახებ ჩემს პირად ხედვას და წარმოდგენებს. სასიამოვნოა, რომ აფხაზებს და ქართველებს საერთაშორისო საექსპერტო საზოგდოებაში მეგობრებიც გვყავს, ვისაც პოლიტიკური და ადამიანური თანაგრძნობა აქვს ამ პრობლემის მიმართ. სისხლისღვრის, უკადრებელის კადრების, სიძულვილის და აუტანელი ადამიანური ტრაგედიის ოცწლიანმა წარსულმა აფხაზები და ქართველები უნდა დაგვაფიქროს მთავარზე – მორჩილად გავყვებით პოლიტიკური თვითმკვლელობის დინებას, თუ გავბედავთ ბედის უკულმართობას ავუმხედრდეთ ისეთივე ჟინით, როგორითაც ერთმანეთს დავუპირისპირდით.

2004-2005 წლებში მძიმე რეალობის შეცვლის ისტორიული შანსი გაჩნდა. თბილისის და სოხუმის პოლიტიკურ ლიდერებს გვქონდა საზოგადოების ისეთი მაღალი ნდობა, რომ გაბედული პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიგვეღო. მტრობის მერე ყველაზე დიდი გამბედაობა ერთმანეთისთვის ნდობის გამოცხადებაა და საამისო პირველი ნაბიჯები გადავდგით კიდეც. ქართველებს და აფხაზებს ერთმანეთი ახლიდან უნდა გაგვეცნო, იმიტომ რომ ძალიან შევიცვალეთ ორივე საზოგადოება. გახსნილი ადმინისტრაციული საზღვრები, საზოგადოებების იზოლაციიდან გამოყვანა და ერთობლივი საერთაშორისო სავაჭრო, თუ ინფასტრუქტურული პროექტების დაწყება ამის საფუძველი უნდა გამხდარიყო. მაგრამ რატომღაც ისევ ჩვეული სამხედრო რიტორიკა და მოვლენების დაძაბვა ვარჩიეთ. ასეთი პოლიტიკური მოუწიფებლობა და იარაღის ჟღარუნი ძვირად დაგვიჯდა.

შეიქმნა ახალი საერთაშორისო რეალობა, რომელიც ასე იკითხება: სამხედრო დაპირისპირება აღარ მოხდება, საერთაშორისო არაღიარების პოლიტიკა არ შეიცვლება. ეს რეალობა ორივე მხარისთვის განსხვავებულ სააფრთხეებს შეიცავს და ამავე დროს შესაძლებლობებს აჩენს.

1992-93 წლებში ომგამოვლილ აფხაზებს და ქართველებს სიკვდილის შიში ისე არ გვაქვს, როგორც ერთად ცხოვრების. განსაკუთრებული ვაჟკაცობა დაგვჭირდება ამ შიშის დასაძლევად. უფრო დიდი ვაჟკაცობა დაგვჭირდება, რომ ჩვენს მიერ დანგრეული ურთიერთობის შემდეგ დაბადებულ თუ ამ წლების შემდეგ წამოზრდილ თაობას, რომელთაც ერთმანეთისთვის არასდროს არაფერი უწყენინებიათ, შანსი მივცეთ მტრობის გარეშე, ერთობლივად აშენონ თავიანთი ღირსეული და თანაბარი მომავალი. მე მგონია, ამდენი წლის მერე გაუცხოებულმა უფროსმა თაობამაც ერთმანეთის თავიდან გაცნობით უნდა დავიწყოთ მომავალზე ფიქრი. საკმარისი ნდობის, გამბედაობის და კეთილგონიერების საფუძველზე ადამიანებს საკუთარი მომავლის შეცვლა ნამდვილად შეგვიძლია.

მაქვს საფუძველი მჯეროდეს, რომ აფხაზებს და ქართველებს გვეყოფა ვაჟკაცობა და ვაღიარებთ ერთამენთის მიმართ ჩადენილ დანაშაულს, დავივიწყებთ მიზეზების სხვაგან ძებნას და საერთო, ახალი მომავლის შენებას მოვკიდებთ ხელს.

ირაკლი ალასანია
17 აპრილი, 2011
თბილისი

რატომ დადგა პროგრესისათვის შესაფერისი დრო

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოს კონფლიქტების შესახებ ორი აზრი ჩამოყალიბდა. პირველს იცავენ აშშ-ის მთავრობა, საქართველოს მთავრობა, ევროკავშირი და დანარჩენი საერთაშორისო საზოგადოება. მეორეს რუსეთი, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, ნაურუსთან, ვენესუელასთან და ნიკარაგუასთან ერთად. ამ ბანაკების პოზიციები აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სტატუსის, საქართველოს საზღვრების მდებარეობის და ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების ხასიათის - კერძოდ, რუსეთის მხრიდან მისი შესრულების - საკითხების შესახებ ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან. ამ განსხვავებული თვალსაზრისების არსი და თითოეული მათგანის მხარდამჭერი მონაწილის რაოდენობა გარკვეულია და, ნაკლებად სავარაუდოა, დროის მოკლე ან საშუალო მონაკვეთში შეიცვალოს.

პირველი ჯგუფი აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს განიხილავს, როგორც საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში მოქცეულ ქვეყნებს. ისინი ასევე აცხადებენ, რომ რუსეთი, როგორც ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებაზე ხელმომწერი ქვეყანა, ვალდებულია დააბრუნოს მისი ჯარები ომამდელ პოზიციებზე და შეამციროს ისინი ომამდელ რიცხოვნობამდე და უზრუნველყოს აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში (მათი სტატუსის მიუხედავად) ჰუმანიტარული დახმარების დაუბრკოლებელი დაშვება. ისინი რუსი სამხედროების აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში არსებული სახით ყოფნას განიხილავენ როგორც ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის თანხმობის პრინციპის დარღვევას და, შესაბამისად, როგორც უკანონოს.

საქართველოს ხელისუფლების სამართლებრივი პოზიცია და რიტორიკა უფრო შორს მიდის, რომლის თანახმად ტერიტორიებზე რუსი სამხედროების ნებისმიერი ფორმით ყოფნა დაუშვებელია, მაგრამ იგი ასევე თანახმაა კონფლიქტის მოგვარების პროცესთან [1]დაკავშირებით განიხილოს შუალედური გადაწყვეტილებები.

მეორე ჯგუფი აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს განიხილავს როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოებს და აცხადებს, რომ საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრები კონფლიქტების ხაზიდან იწყება.

ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებასთან დაკავშირებით, რუსეთის ოფიციალური პირები ხაზგასმით გამოყოფენ სამ საკითხს: პირველ რიგში, ისინი პროტესტს გამოთქვამენ იმ ფაქტის გამო, რომ ტექსტი, რომელზეც ისინი თავდაპირველად შეთანხმდნენ, შეცვლილი იქნა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის დაჟინებული მოთხოვნით. ამოღებული იქნა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მომავალი სტატუსის საერთაშორისო დონეზე განხილვის პირობა? (რამაც, მათი განცხადებით, მათ აღიარებისკენ უბიძგა) და ასევე პრეამბულა, რომლის თანახმად, ცეცხლის შეწყვეტით გათვალისწინებული ზომები უნდა მიიღონ „შესაბამისმა მხარეებმა", რაც, მათი

[1] ინტერვიუ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან სერგეი ლავროვთან, „*კომერსანტი,*" 11 ივნისი, 2010წ., იხ. ბმულზე: http://www.kommersant.ru/doc.aspx?DocsID=1385578

ინტერპრეტაციით იმის დამამტკიცებელი საბუთია, რომ რუსეთი კონფლიქტის მხარედ თავს არასოდეს თვლიდა. მეორეს მხრივ, მათი განცხადებით, მათ ბოლომდე შეასრულეს შეთანხმება. ჯარები, რომლებიც საომარ მოქმედებებში მონაწილეობდნენ, გავიდნენ – მათ უბრალოდ ახალი ჯარები ჩაენაცვლნენ. დასასრულს, მათი განცხადებით, დოკუმენტს ხელი მოეწერა იმ მსოფლიოში, სადაც აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებელი სახელმწიფოები", რომლებსაც ამჟამად რუსეთთან დადებული აქვთ ხელშეკრულებები ბაზების შესახებ, არ არსებობდა. მათი მტკიცებით, ის მსოფლიო უკვე აღარ არსებობს.

რუსეთის ხელისუფლების მიერ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე, მოსკოვი საერთაშორისო დონეზე შეეცადა ანალოგიური გადაწყვეტილების მისაღებად სხვა ქვეყნებიც დაეყოლიებინა. საქართველოს ხელისუფლებამ დაუყონებლივ მიიღო კონტრზომები ამ ზეწოლის წინააღმდეგ, რომელიც ცნობილი გახდა „სუვერენული დიპლომატიის" სახით.[2] მათ მიიღეს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, რომლის მიზანი, ნაწილობრივ, იყო ის, რომ ასეთი აღიარების არჩევანი სხვა ქვეყნებისთვის ნაკლებად მიმზიდველი ყოფილიყო.

მაგრამ საქართველო ასევე შეეცადა მიეღო დაპირებები მისი პარტნიორებისაგან და მეგობრებისაგან, რომ მათი მხარდაჭერა მისი პოზიციის მიმართ უცვლელი იყო. აშშ-ის ხელისუფლებამ საქართველოს აღნიშნულ მცდელობაში ძლიერი დიპლომატიური მხარდაჭერა აღმოუჩინა. მან კიდევ ერთხელ საჯაროდ განაცხადა მისი განზრახვის შესახებ არასოდეს აღიარებინა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად და მის პარტნიორებსაც დაჟინებით მოუწოდა იგივე გაეკეთებინათ. მან გარკვევით განმარტა რომ სხვა სახელმწიფოების მხრიდან აღიარება ვაშინგტონთან მათ ურთიერთობებს დააზარალებდა.

რუსეთის მცდელობა საოცრად ჩაფლავდა. მან ისიც კი ვერ მოახერხა, რომ მისი მოკავშირეები დაერწმუნებინა მის მაგალითისათვის მიებაძათ. საქმეს ისიც ართულებდა, რომ მის მიერ ამ საქმისთვის სავარაუდოდ გადმოსაბირებელი ქვეყნების ნუსხა მოსკოვს უხერხულობაში აყენებდა. სხვადასხვა წყაროების თანახმად, რუსეთმა სუვერენული დიპლომატიის პროექტის განხორციელებაზე ხელი ჩაიქნია.

ასეთი წარუმატებლობა და საქართველოს მხრიდან უფრო მეტი დაჯერებულობა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა ასეთ მოთხოვნებს უარით უპასუხებდა, მოკლე ვადაში შესაძლო პროგრესის მიღწევის საფუძველს იძლევა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთვის უფრო სასურველი იქნებოდა მეორე ჯგუფის აზრი პირველი ჯგუფის აზრს დამთხვეოდა, აშკარაა, რომ ეს ახლო მომავალში არ მოხდება, რაც არ უნდა განაცხადოს ან მოიმოქმედოს პირველმა ჯგუფმა. ასევე აშკარაა, რომ ეს ჩიხია. ისიც

[2] ალექსანდერ ქული და ლინკოლნ ა. მიტჩელი, „ურთიერთობა აღიარების გარეშე: ახალი სტრატეგია აფხაზეთის და ევრაზიის არაღიარებული სახელმწიფოების მიმართ," *Washington Quarterly* 33 (4) (2010): 59-73, იხ. ბმულზე: http://www.twq.com/10october/docs/10oct_Cooley_Mitchell.pdf

ნაკლებად სავარაუდოა, რომ მეორე ჯგუფი ახლო მომავალში რიცხობრივად გაიზარდოს.

ამასთან ერთად, ყველა მხარეს აქვს სტიმული კონსტრუქციული ზომების მისაღებად. მოსკოვში ბევრი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სტატუს კვო რუსეთს პრობლემებს უქმნის. ეს სიმართლეა იმათ შემთხვევაშიც კი, ვისაც მიაჩნია, რომ 2008 წლის აგვისტოში სამხედრო ჩარევა აუცილებელი იყო.

მათ მიერ მოყვანილი მიზეზები განსხვავებულია. ზოგიერთი მათგანი აღიარებს იმ ზიანს, რასაც იგი რუსეთის მიერ საგარეო პოლიტიკაში პროგრესის მიღწევის შესაძლებლობებს აყენებს. სტატუს კვო ასევე „შებრკოლების ლოდს" წარმოადგენს ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ევროკავშირთან და მის წევრ სახელმწიფოებთან ორიმხრივ ურთიერთობებშიც. იგი ხელს უშლის რუსეთს მიაღწიოს მის მიზნებს მთელ რიგ საკითხებში, დაწყებული ეუთო-ს რეფორმით - ბოლო სამიტზე საბოლოო დოკუმენტის მიღება საქართველოს კონფლიქტების გამო კინაღამ ჩაიშალა - და დამთავრებული მისი ხედვით ევროპის უსაფრთხოების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით.

აღნიშნულის შედეგად, ამ საკითხის მოსკოვში დაყენების დროს აშკარად იგრძნობა დაღლილობა იმ იმედგაცრუებასთან ერთად, რომელიც საქართველოს მხრიდან რუსეთის რეპუტაციისათვის ჩირქის მოცხების სერიოზულ მცდელობებს უკავშირდება.

რუსეთის ის მოქალაქეებიც კი, რომლებსაც არსებული უთანხმოება განსაკუთრებით არ აღელვებთ, შეშფოთებულები არიან იმით, რომ ომის შემდგომმა რეკონსტრუქციის პროექტებმა სამხრეთ ოსეთი რუსეთის ბიუჯეტის შავ ხვრელად გადააქცია, მიუხედავად მრავალრიცხოვანი მაღალი დონის ვიზიტებისა, ადგილობრივ ხელისუფლებაში რუსეთის მოქალაქეების დანიშვნისა, საშუამავლო საქმიანობის ამკრძალავი დადგენილებების მიღებისა და სხვა საბუჯეტო კონტროლის ზომებისა. აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები და მიმდინარეობს აუდიტები როგორც რუსეთის ასევე სამხრეთ ოსეთის იმ უწყებებთან (სამთავრობო და კომერციული) დაკავშირებით, რომლებსაც მოსკოვის მიერ რეკონსტრუქციისთვის გამოყოფილი მილიონობით მანეთის მოპარვაში ადანაშაულებენ.[3]

ასევე დღითიდღე იზრდება აფხაზეთის ხელისუფლების მაღალი ეშელონების წარმომადგენელთა უთანხმოება მოსკოვთან. ისტორიულად, აფხაზებს არასოდეს ჰქონიათ დიდი სიმპატიები რუსეთის მიმართ. მეცხრამეტე საუკუნეში მისი მოსახლეობის ნახევარზე მეტი რუსეთის იმპერიის არმიამ ქვეყნიდან გააძევა. მათ

[3] ეუთო-ში ამერიკის შეერთებული შტატების მისიის განცხადება „საქართველოს აფხაზეთის რეგიონში არჩევნების შესახებ," მარინა პერევოზკინა "Кокоити против Челябинских", „მოსკოვსკი კომსომოლეცი" 18 მაისი, 2010წ., იხ. ვებ-გვერდზე: http://www.mk.ru/politics/article/2010/05/18/491603-kokoytyiprotiv-quotchelyabinskihquot.html; «Прокуратура Южной Осетии и РФ назвали фирмы, ворующие деньги на восстановление," *„რეგნუმ,"* 27 სექტემბერი, 2010წ., იხ. ბმულზე: http://www.regnum.ru/news/1329421.html.

ახლანდელ ხელისუფლებას იმედი ჰქონდა, რომ 2008 წლის აგვისტოს შემდეგ ჭეშმარიტ, და არა ვასალურ, დამოუკიდებლობას მოიპოვებდნენ.

ერთ-ერთი ბოლო უთანხმოება დაკავშირებული იყო იმ რუსებისთვის ქონების დაბრუნებასთან, რომელთა განცხადებით მათი ქონება აფხაზეთის ხელისუფლებამ მიითვისა. ამ რუსების ერთმა ჯგუფმა საგარეო საქმეთა სამინისტროსაც კი უჩივლა იმის გამო, რომ მან მათი საკუთრების უფლების დაცვა ვერ მოახერხა[4]. პირველი სარჩელის დაუკმაყოფილებლობის შემდეგ ჯგუფმა განაცხადა და დაიმუქრა, რომ თუ რუსეთის სამართალდამცავი სისტემა მათ უფლებებს არ დაიცავდა, ისინი ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს მიმართავდნენ.

ადგილობრივ მედიასთან საჯარო დისკუსიებში აფხაზეთში რუსეთის "ელჩიც" მოსაწილეობდა. ერთ-ერთ ფართოდ ტირაჟირებულ სტატიაში გამოითქმული იყო პრეტენზია, რომ აფხაზეთი რუსეთის შიდა პრობლემების, კერძოდ, კორუფციის „იმპორტით" იყო დაკავებული. სტატიის თანახმად, „აფხაზეთის და რუსეთის თანაარსებობა ინფიცირებულ პარტნიორთან სქესობრივ კავშირს გავს."[5]

ასეთი დაძაბულობა მოსკოვისთვის წარმოადგენს სტუმულს შეცვალოს აღნიშნული სტატუს კვო, ხოლო აფხაზეთის ხელისუფლებისთვის უფრო სერიოზულ მოტივაციას, რათა მან მიმართოს გარე მონაწილეებს, თუნდაც საქართველოს,–საკითხის პოლიტიკური მოგვარებისთვის თუ არა, რუსეთისაგან მოსალოდნელი საფრთხეებისაგან თავდასაცავად მაინც.

ამასთან ერთად, რამდენად პარადოქსულიც არ უნდა იყოს, რუსეთის სამხედრო ძალების ყოფნა სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის ხელისუფლებას აძლევს უკეთეს შესაძლებლობებს მონაწილეობა მიიღონ კონფლიქტის მოგვარებაში, რადგან ამის შედეგად აღმოფხვრილია შიშის გრძნობა საქართველოს მხრიდან მათზე მოსალოდნელი განმეორებით თავდასხმისა.

განსხვავებული ტონი იგძნობა თბილისშიც. 2010 წელს საქართველოს ხელისუფლებამ აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან მშვიდობიანი ურთიერთობის ყოვლისმომცველი პოლიტიკა შეიმუშავა. იგი შეიცავს მთელ რიგ ინიციატივებს, რომლებიც სტატუსისაგან და რუსი სამხედროების ყოფნასთან დაკავშირებული უთანხმოებებისაგან ცალკე კონტექსტში განიხილება. 2010 წლის 23 ნოემბერს, პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ „საქართველო არასოდეს გამოიყენებს

---

[4] გიორგი ლომსაძე, „რუსი ბინის მფლობელების ბრძოლა რუსეთის სახელმწიფოსთან აფხაზეთის საკუთრებასთან დაკავშირებით," ევრაზიანეტ.ორგ, 17 სექტემბერი, 2010წ., იხ. ბმულზე: http://www.eurasianet.org/node/61957 იხ. აგრეთვე: ვლადიმირ ვორსობინი, „Первые плоды независимости: Абхазы забирают квартиру у Русских," კომსომოლსკაია პრავდა, 7 სექტემბერი, 2010წ., იხ. ბმულზე: http://kp.ru/print/article/24553/729388.

[5] აშრა სმი, „Конец терпению" 21 ნოემბერი, 2010წ., იხ. ბმულზე http://akhrensky.livejournal.com/75451.html.

ძალას მისი ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის აღსადგენად."[6] მან ასევე გააკეთა განცხადებები იმის შესახებ, რომ იგი მზად არის დაიწყოს რუსეთთან დიალოგი: „თუ რუსეთი გამოიჩენს კეთილ ნებას და სურვილს მოლაპარაკებების დასაწყებად, საქართველო მზად არის დიალოგისთვის ნებისმიერ დროს და ნებისმიერ დონეზე."[7]

ომმა და რუსი სამხედროების ყოფნამ დაანგრია საქართველოს ილუზიები აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ძალის გამოყენებით დაბრუნების შესახებ. ამავე დროს, საზოგადოების მხარდაჭერა სააკაშვილის და მისი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიმართ 2008 წლის ბოლოს 2009 წლის მომდევნო პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა. პრეზიდენტი მაღალი რეიტინგით სარგებლობს, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას კი საქართველოში წამყვანი პოლიტიკური პარტიის პოზიცია უკავია, როგორც მისი მრავალრიცხოვანი საპარლამენტო უმრავლესობის, ასევე სოციოლოგიურ გამოკითხვებში მის ოპონენტებზე მნიშვნელოვანი უპირატესობის მოპოვების კუთხით.[8] ამასთან ერთად, საქართველოს ხელისუფლების ოფიციალური პირების განცხადებით, მათ აღარ ჰგონიათ, რომ რუსი სამხედროები ახლო მომავალში კვლავ გადმოლახავენ კონფლიქტის ხაზებს რუსეთის მხრიდან სისტემატურად გაკეთებული იმ პროვოკაციული განცხადებების მიუხედავადაც კი, რომლებიც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სამხედრო ფორმირებების განლაგებას ეხება.

რუსეთშიც და საქართველოშიც, რაც დრო გადის, მით უფრო ნაკლებად შეიმჩნევა ირაციონალური და მტრული განწყობილებები ერთმანეთის მიმართ, რაც 2008 წლის აგვისტოს ომს ახლდა. მაგალითად, საქართველოს ოფიციალური პირების განცხადებით, გასულ წელს, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საქართველოში პოლიციის სფეროში განხორციელებული წარმატებული რეფორმებისადმი მიძღვნილ ორდღიან სემინარზე დასასწრებად თბილისში ჩამოვიდნენ რუსეთის არასამთავრობო ორგანიზაციების ექსპერტები, რომლებიც რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის ანალიტიკურ სამუშაოებს ასრულებენ (ბოლო თვეების განმავლობაში რუსეთის პრეზიდენტმა პოლიციის სფეროში მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელება დაიწყო). საქართველოს პოლიციის რეფორმები ასევე დადებითად გაშუქდა რუსულ მედიაშიც, მათ შორის სახელმწიფო მედიაშიც.[9]

---

[6] საქართველოს პრეზიდენტის მიმართვა ევროპარლამენტის წევრებისადმი," 23 ნოემბერი, 2010წ., იხ. ბმულზე: http://www.president.gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=228&info_id=5857.

[7] გიორგი დვალი, „Грузия готова поменяться шпионами с монстром," *„კომერსანტი,"* 11 ნოემბერი, 2010წ., იხ. ბმულზე: http://www.kommersant.ru/doc.aspx?DocsID=1536453.

[8] გრინბერგ ქუინლენ როზნერის ესმი-სთვის ჩატარებული და ავტორებისათვის გადაცემული კვლევის მონაცემები.

[9] „Грузинский опыт реформы МВД, *რია-ნოვოსტი,* 22 სექტემბერი, 2010წ., იხ. ბმულზე: http://www.rian.ru/investigation/20100922/278068474.html; *„რია-ნოვოსტის"* ინტერვიუ ვანო მერაბიშვილთან, 6 ოქტომბერი, 2010წ., იხ. ბმულზე:

რუსული ავტომოყვარულების ჟურნალის ერთი ნომერი მთლიანად მიეძღვნა საქართველოში განხორციელებული ადმინისტრაციული რეფორმების პოზიტიურ გავლენას მძღოლებზე, მათ შორის საზღვრების კონტროლირებულ და ორგანიზებულ გადაკვეთას, საგზაო პოლიციაში კორუპციის არარსებობას და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ოპერატიულად გაცემულ მართვის მოწმობებს.[10] სტატია შეიცავს ილუსტრირებულ ჩანართს სათაურით: „როგორ ავიღე ჩემი ქართული მართვის მოწმობა," სადაც აღნიშნულია თუ რამდენად სასიამოვნო იყო, რომ ყველაფერი ქრთამის გადახდის გარეშე მოგვარდა.[11]

საზღვრისპირა ზოლში მცხოვრები მოსახლეობა

საქართველოს კონფლიქტის სპეციფიური ხასიათი დამატებით სირთულეს ქმნის კონფლიქტის პრევენციის საქმეში. პრევენციული რეჟიმის ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით უნდა მოგვარდეს ე.წ. საზღვრისპირა ზოლში მცხოვრები მოსახლეობის ადამიანის უსაფრთხოების პრობლემები.

ყველა კონფლიქტის ზონა როდი მოიცავს საზღვრისპირა ზოლში მცხოვრებ მოსახლეობას. მაგალითად, კორეის დემილიტიზირებულ ზონაში სამხედრო სადემარკაციო ხაზის თითოეულ მხარეს მხოლოდ ერთი სოფლის არსებობაა ნებადართული. ამ შემთხვევაშიც კი, ჩრდილოეთით მდებარე დასახლება სავარაუდოდ მოსახლეობისაგან დაცლილია, ხოლო სამხრეთით მდებარე ქალაქის დაახლოებით 200 მაცხოვრებელს სასაზღვრო ხაზთან ახლოს გადაადგილების არც საშუალება და არც მიზეზი არ გააჩნიათ.

აღნიშნულისაგან განსხვავებით, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ხაზების გასვწრივ არსებული ტერიტორიებზე ცხოვრობს სამი ერთმანეთისაგან განსხვავებული მოსახლეობა, რომლებიც ამ ხაზებს რეგულარულად გადაკვეთენ.

პირველი წარმოადგენს აფხაზეთის გალის რაიონის, ძირითადად ქართული ეროვნების მოსახლეობას, რომელთა რაოდენობა შეადგენს 40 000-ს და ისინი დამოკიდებულები

---

http://rian.ru/interview/20101006/282841663.html; *რენ-ტივი-ს* პროგრამა „ნედელი", 15 მაისი, 2010წ., იხ. ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=xMV1AjNR0mQ; *რენ-ტივის* პროგრამა „რეპორტიორსკიე ისტორიი" 5 დეკემბერი, 2010წ., იხ. ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=KzWjFjJZ-ks

[10] *ავტორევიუ* № 21, 2010წ., იხ. ვებ-გვერდზე: http://www.autoreview.ru/_archive/section/detail.php?SECTION_ID=2217&ELEMENT_ID=74631&PAGEN_1=2.

[11] მიხაილ პოდოროჟანსკი, „Как я получил Грузинские права," *ავტორევიუ* № 21, 2010წ., იხ. ბმულზე: http://www.autoreview.ru/_archive/section/detail.php?SECTION_ID=2217&ELEMENT_ID=74759.

არიან მეზობელ სამეგრელოს რეგიონთან ეკონომიურ და სოციალურ კონტაქტებზე, განსაკუთრებით მოსავლის აღების სეზონის დროს. მრავალი გალის ყოფილი მაცხოვრებელი დასახლდა სამეგრელოში და ინტენსიური ურთიერთობა აქვს სახლთან და გალში მცხოვრებ ოჯახებთან.

საზღვრისპირა ზოლში მცხოვრები მოსახლეობის მეორე ჯგუფი მოიცავს ძირითადად ახალგორის 7000 მოსახლეს და იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომელსაც ამჟამად სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება აკონტროლებს. ცხინვალისაგან მას ყოფს ქედი, რომელიც ფაქტიურად მიუდგომელი იყო იქამდე, სანამ ბოლო თვეებში რუსი სამხედროები იქ გზას არ ააშენებდნენ. 2008 წლის ომამდე ახალგორი ძირითადად ქართველებით იყო დასახლებული და საქართველოს კანონმდებლობით თბილისს ექვემდებარებოდა, თუმცა, საბჭოთა პერიოდში იგი სამხრეთ ოსეთის ნაწილს შეადგენდა. ამჟამად, ამ მოსახლეობის დიდი ნაწილი, რაიონის გარეთ, იძულებით გადაადგილებულ პირთათვის განკუთვნილ ბანაკებში ცხოვრობს, მაგრამ მრავალი მათგანი თავიანთი სახლების და ქონების მოსანახულებლად ხშირად უკან ბრუნდება.

დასასრულს, საზღვრისპირა ზოლში მცხოვრები მოსახლეობის მესამე ჯგუფი, რომელიც მოიცავს იმ სოფლებისა და რაიონების მოსახლეობას, რომლებიც განლაგებულნი არიან სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ხაზის გასწვრივ ორივე მხარეს და რომლებსაც ხშირად უწევთ ამ ხაზის გადაკვეთა მათი ყოველდღიური საქმიანობის პროცესში.[12] არსებობს დაახლოები 30-მდე გზა და ბილიკი სამხრეთ ოსეთში შესვლისა და გამოსვლისთვის. კონფლიქტის ხაზის უკიდურესი სამხრეთ ნაწილის გასწვრივ არსებული შემშვები პუნქტები ფაქტიურად შეუზღუდავია.

[12] ცალკე ხელმოწერილი ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებების დედნის სკანირებული პირები, იხილეთ: საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის ანგარიში, "ანგარიში, ტომი III" (2009), იხ. ბმულზე:
http://www.ceiig.ch/pdf/IIFFMCG_Volume_III.pdf, p. 588, 591–592.

ბავშვები სოფელ ერგნეთში თამაშობენ სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ხაზზე ანგარიშის ავტორების ფოტო

პროგრესის მოკლე ვადაში მიღწევის გეგმა

საქართველოს კონფლიქტებში მონაწილე მხარეებს ძირეულად განსხვავებული წარმოდგენა აქვთ პრინციპულ საკითხებზე, დაწყებული საქართველოს საზღვრების მდებარეობით და აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სტატუსით და დამთავრებული მედვედევ-სარკოზის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით, რუსი სამხედროების ყოფნით და ,,კონფლიქტის მხარეების'' დეფინიციითაც კი. შესაბამისად, კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხებით მათი დაინტერესებაც მნიშვნელოვნად განსხვავებულია.

მათი საჯარო განცხადებებიდან გამომდინარე, მათ ყველას მინიმუმ ერთი საერთო ინტერესი გააჩნიათ: განახლებული შეიარაღებული კონფლიქტის თავიდან აცილება რეგიონში. მართლაც, ძალის გამოყენების განახლება საშინელი შედეგების მომტანი იქნება, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო მასშტაბით. აქედან გამომდინარე, კონფლიქტის მოგვარების ეფექტური მექანიზმის შემუშავება ყველა მხარისათვის პრიორიტეტული საკითხია.

კერძოდ, მხარეებმა უნდა შეიმუშაონ პროგრესის მოკლე ვადაში მიღწევის გეგმა, რომელიც ფოკუსირებული იქნება კონფლიქტის პრევენციაზე და ნდობის განმტკიცებაზე - მიზნებზე, რომლებიც ყველას ინტერესებშია. ამავე დროს, გეგმის განხორციელება არ გულისხმობს მხარეების მიერ თავიანთი განსხვავებული პოზიციების გადახედვას.

გეგმა, რომელიც ომის შემდგომ პროგრესს ეფუძნება, სამი ერთმანეთთან დაკავშირებული ძირითად კომპონენტისაგან შედეგება, რომლებიც დაწვრილებით ქვემოთ არის განხილული:

- რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ძალის გამოუყენებლობის შესახებ ვალდებულების აღება;
- საქართველოს მთავრობას და აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებებს შორის ორმხრივი ხელშეკრულებების დადება ჰუმანიტარული და ადამიანის უსაფრთხოების საკითხების მოგვარების მიზნით;
- ცვლილებების შეტანა საქართველოს და რუსეთის იმ არსებულ პოლიტიკაში, რომელიც ხელს უშლის კონფლიქტის მოგვარებას.

ახლა, ჩვენ თითოეულ ამ კომპონენტს რიგრიგობით დეტალურად განვიხილავთ.

რუსეთის მიერ ძალის გამოუყენებლობა

რუსეთმა უნდა გააკეთოს ცალმხრივი განცხადება ნოემბერში პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ ძალის გამოუყენებლობის შესახებ გაკეთებული განცხადების საპასუხოდ. ეს ყველა მხარეს დაარწმუნებს, რომ რუსეთს არ აქვს საქართველოს წინააღმდეგ ძალის კვლავ გამოყენების განზრახვა. რუსეთს ამ მოკრძალებული ნაბიჯის გადადგმა სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის სტატუსთან და საქართველოს საზღვრებთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციების დათმობის გარეშე შეუძლია, და თანაც კონფლიქტის მონაწილე მხარედ საკუთარი თავის აღიარების გარეშეც კი.

ზემოხსენებული ქმედებით იგი კიდევ ერთხელ დაადასტურებს მის უკვე არსებულ ვალდებულებებს ძალის არგამოყენების შესახებ სხვა ქვეყნების წინააღმდეგ, მათ შორის მათ წინააღმდეგ, რომლებსაც 1990 წლის პარიზის ქარტია ახალი ევროპისთვის მუხლები ითვალისწინებენ და რომლის მონაწილეები რუსეთი და საქართველოც არიან: "გაერთიანებული ერების ქარტიით და ჰელსინკის საბოლოო აქტით განსაზღვრული ჩვენი ვალდებულებების შესაბამისად, ჩვენ განმეორებით ვდებთ პირობას, რომ თავს შევიკავებთ რომელიმე ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ძალის გამოყენების მუქარისგან ან ძალის გამოყენებისგან.[13]" ქართველები სავარაუდოდ არ დაეთანხმებიან აღნიშნულ ფორმულირებას, მაგრამ მზად იქნებიან ასეთი განცხადება მიიჩნიონ წინსვლად.

ამ განცხადების საფუძველზე, რუსეთმა შესაბამისად უნდა შეცვალოს ძალის გამოყენების პოზიცია სამხრეთ ოსეთში. საქართველოს შეშფოთების აშკარა ხელშემწყობ ფაქტორს სამხრეთ ოსეთში შორი მოქმედების სარაკეტო სისტემის

[13] „პარიზის ქარტია ახალი ევროპისათვის," იხ. ბმულზე: http://www.osce.org/mc/39516

(სმერჩი და ტოჩკა-U) განთავსება წარმოადგენს, რომელსაც შეუძლია თბილისს ნებისმიერ დროს მიაყენოს დარტყმა. ამასთან ერთად, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ხაზგასმით აღნიშნავენ იმ საფრთხეს, რომელიც გამოწვეულია რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთში იმ სამხედრო ნაწილებისა და შეიარაღების რიცხოვნობის გაზრდით რომლებიც მაღალი მობილურობით გამოირჩევიან, და, შესაბამისად, მხოლოდ სწრაფი საიერიშო შეტევისთვის გამოიყენება.

რუსეთმა უნდა შეამციროს სწრაფი შეტევითი ტექნიკის, ტანკების და ოპერატორების რაოდენობა, რომლებიც სამხრეთ ოსეთში ავანპოსტებზე არიან განლაგებულნი, ან მინიმუმ გადაიყვანოს ისინი სამხრეთ ოსეთის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ძირითად ბაზაზე, რაც რუსეთის თავდაცვისუნარიანობას არ შეასუსტებს. მომავალში, მოსკოვმა უნდა გაითვალისწინოს იქ განთავსებული ზოგიერთი საბრძოლო საჯარისო ნაწილის არასაბრძოლო პერსონალით ჩანაცვლება.

შორი მოქმედების არტილერიის განთავსება სამხრეთ ოსეთში მხოლოდ ზრდის საფრთხეს საქართველოს მიმართ, სამხრეთ ოსეთის უსაფრთხოების გაძლიერების გარეშე. ამ დროის განმავლობაში, სამხრეთ ოსეთში შეიარაღების ზრდის შესახებ მეტი გამჭირვალობა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

ორმხრივი შეთანხმებები

ორმხრივი შეთანხმებები ძალის გამოუყენებლობის შესახებ ამ ეტაპზე ზედმეტია და ნაკლებად ეფექტურია. საბოლოო ჯამში, მათ ვერ შეძლეს ადრე განხორციელებული ძალადობის აქტების შეჩერება. არსებული ცალმხრივი ვალდებულებები პროგრესის საკმარის წინაპირობებად უნდა ჩაითვალოს, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ისინი რუსეთის მიერ არის შემოთავაზებული. ის ფაქტი, რომ სამხრეთ ოსეთის მხრიდან ჯერ კიდევ ადგილი აქვს ორმხრივი შეთანხმებების შესახებ მოწოდებებს, მოწმობს იმას, რომ ისინი ითხოვენ დოკუმენტს, რომელიც გამოხატავს მათი დამოუკიდებლობის უსიტყვო დადასტურებას, ან - რადგან იციან, რომ ასეთი დოკუმენტები თბილისისთვის მიუღებელია - იქნება გასამართლებელი მიზეზი იმისათვის, რომ არ იქონიონ საქართველოსთან იმაზე მეტი ურთიერთობა, ვიდრე ეს ამჟამად არსებული შეზღუდული ფორმატით არის გათვალისწინებული.

არსებობს კიდევ ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ უნდა ცდილობდნენ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებები მიაღწიონ ორმხრივ შეთანხმებას საქართველოს ხელისუფლებასთან: ასეთი შეთანხმებები იქნებოდა ნიშანი იმისა, რომ საქართველო მზად არის აღიაროს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი არა როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები, არამედ როგორც ფაქტიური პოლიტიკური ერთეულები და მონაწილეები. ორმხრივი შეთანხმებების მნიშვნელობა ძალის გამოუყენებლობის გარანტიებისთვის მდგომარეობს არა იმ დაპირებებში, რომლებიც ამ ხელშეკრულებებით იქნება განსაზღვრული, არამედ იმაში, რომ მათზე ხელისმომწერი საქართველო იქნება.

ორმხრივი შეთანხმებები პრინციპულად შესაძლებელია. მათი შედგენა ადვილად შეიძლება ისე, რომ იგი არ გულისხმობდეს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობას, ხოლო საქართველოს ხელისუფლება არ უნდა იყოს წინააღმდეგი მოაწეროს ხელი ხელშეკრულებებს მათთან, ვისაც ისინი ნორმალურ ვითარებაში რეგიონების ავტონომიურ ხელისუფლებებად ჩათვლიდნენ. სინამდვილეში, როგორც საქართველოს ხელისუფლების ოფიციალურმა წარმომადგენლებმა მოგვახსენეს, შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით, ისინი არ გამორიცხავენ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებასთან შეთანხმებების ხელმოწერას. საქართველოს სახელმწიფო სტრატეგია სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის მიმართ ასევე ითვალისწინებს კომუნიკაციას და ურთიერთქმედებას მართველ ხელისუფლებასთან.

ორმხრივი შეთანხმებების მიღწევის გზაზე, რა თქმა უნდა, არსებობს დაბრკოლებები. საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის ხელისუფლებას, დღეს არსებული შემადგენლობით, ცნობს უკანონოდ, ხოლო მათ ქმედებებს ბათილად და სამართლებრივ შედეგმოკლებულად. შეთანხმებებმა ამ საკითხს გვერდი უნდა აუარონ.

ორმხრივი შეთანხმება სამხრეთ ოსეთთან განსაკუთრებით რთულია. ამის მიზეზები მრავალია, კერძოდ: მტრული დამოკიდებულება გამოწვეული 2008 წლის ომით და საქართველოს მიერ ცხინვალის დაბომბვით; ცეცხლის შეწყვეტის შემდგომი ეთნიკური წმენდა და ქართული სოფლების განადგურება; ურთიერთობების სერიოზული დაძაბვა კონფლიქტის ხაზის ორივე მხარეს; საქართველოში გავრცელებული აზრი იმის შესახებ რომ რუსეთის ხელისუფლებას სამხრეთ ოსეთზე გაცილებით უფრო დიდი გავლენა აქვთ, ვიდრე აფხაზეთზე; და ის ფაქტი, რომ საქართველოს კანონმდებლობა ჯერ კიდევ ოფიციალურად არ ცნობს სამხრეთ ოსეთს თვითმართველობის სუბიექტად. (მისი სტატუსი გაუქმდა 1990 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობამდე).

მიუხედავად ამისა, ზემოთ აღნიშნული პრობლემები არ არის გადაულახავი და მხარეთა დოკუმენტებს შეიძლება ჰქონდეთ მსგავსი სტრუქტურები და მიზნები. ამ დოკუმენტების საშუალებით უნდა მოხდეს ძალის გამოუყენებლობის შესახებ არსებული ვალდებულებების აღიარება, თუმცა მათ არ ექნებათ ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმებების სტატუსი. ისინი ასევე შეიძლება სარგებლობდნენ ნეიტრალური სტატუსით და არ ჰქონდეთ საერთაშორისო სამართლის ძალა, არამედ წარმოადგენდნენ „ორმხრივ დეკლარაციებს“ ხელმოწერილს სახელმწიფო მეთაურზე დაბალი თანამდებობის პირის, სავარაუდოდ, პრემიერ მინისტრის დონეზე.

მათი კონკრეტული ამოცანები ერთმანეთისაგან უნდა განსხვავებოდეს. აფხაზეთის შემთხვევაში, დოკუმენტში ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს საზღვრის გადაკვეთის რეჟიმის ლეგალიზაციასა და გამარტივებაზე, გალის მოსახლეობისთვის მაინც. იგი ასევე გახდება საფუძველი გალში ჰუმანიტარული დამკვირებლების განთავსებისთვის ორმხრივი მზადყოფნისთვის ისე, რომ არ მოხდეს მხარეების მიერ განსხვავებულად ინტერპრეტირებული ექვს პუნქტიანი ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების და არსებული ევროკავშირის სადამკვირებლო მისიის მანდატის შეზღუდვა.

სამხრეთ ოსეთის შემთხვევაში, დოკუმენტში ყურადღება გამახვილდება ძირითადად, მაგრამ არა მხოლოდ, ახალგორზე. მასში გათვალისწინებული იქნება ახალგორის მოსახლეობისთვის საზღვრის გადაკვეთის რეჟიმის შემდგომი გამარტივების და, განსაკუთრებით, ხეობის მოსახლეობის სამუდამოდ დაბრუნებისათვის აუცილებელი პირობების შექმნის და ასევე საერთაშორიო ჰუმანიტარული დამკვირებლების განთავსების ვალდებულებები. დოკუმენტში ასევე გათვალისწინებული იქნება სხვა ელემენტარული ტრანსსასაზღვრო ჰუმანიტარული საკითხები, მათ შორის საზღვრის შეზღუდულ რეჟიმში გადაკვეთის წერტილებში ,,შეუფერხებლად გატარების,, პოლიტიკა, წყლის რესურსების მართვა და ურთიერთგანაწილება და ჯანდაცვითი მომსახურება.

აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით, აღნიშნული დოკუმენტები დაადასტურებენ საქართველოს მიერ ადგილობრივი ხელისუფლების, როგორც პოლიტიკური სუბიექტების და პრაქტიკული პარტნიორების აღიარებას. მათ ასევე შეუძლიათ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა დაარწმუნონ, რომ საქართველო ჭეშმარიტად მხარს უჭერს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესს და აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის საზოგადოებებს შორის ურთიერთობას. საბოლოო ჯამში, დოკუმენტები ორივე მხარეს აძლევს საშუალებას აღიჭურვონ მათდამი დაქვემდებარებული მოსახლეობის უფლებების დაცვის გარანტების რწმუნებებით.

საქართველოსთვის, ეს დოკუმენტები იქნება დამატებითი დამადასტურებელი საბუთი მისი გულწრფელობისა და კეთილი ნებისა მშვიდობიანი ურთიერთობის სტრატეგიის მიმართულებით და მომავალში უფრო ინტენსიური თანამშრომლობის პრაქტიკული საფუძველი. ისინი ასევე ხელს შეუწყობენ გალის და ახალგორის რაიონების მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების და უსაფრთხოების გაუმჯობესებას და საფუძველს ჩაუყრიან გადაადგილების თავისუფლებასთან და იძულებით გადაადგილებულ პირების დაბრუნებასთან დაკავშირებული საკითხების უფრო ფართო სპექტრის მოგვარებას.

საზღვრისპირა ზოლში მცხოვრები მოსახლეობის ადამიანის უსაფრთხოების მოთხოვნები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და პროგრესის მიღწევის მიზნით მოგვარებას საჭიროებს. ჩვენ მას უფრო დაწვრილებით განვიხილავთ იქამდე, სანამ მათი მოგვარებისთვის აუცილებელ დოკუმენტებთან დაკავშირებულ რეკომენდაციებზე გადავიდოდეთ.

საზღვრისპირა ზოლში მცხოვრები მოსახლეობის ადამიანური უსაფრთხოების მოთხოვნები

საზღვრისპირა ზოლში მცხოვრები მოსახლეობით დასახლებული სამივე ტერიტორიის ამჟამად არსებული საზღვრის გადაკვეთის რეჟიმის და გალის და ახალგორის ადმინისტრაციული მოწყობიდან გამომდინარე ეს მოსახლეობა გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის პირობებშიც კი მოწყვლადი და დაუცველი რჩება. ამ ორ

რაიონში მოსახლეობის და კონფლიქტის ხაზზე მყოფი რუსი, აფხაზი და ოსი მესაზღვრეების ურთიერთობა გარკვეულწილად დასტაბილურდა, მაგრამ მაინც ძალადობისა და უფლებების ბოროტად გამოყენების პოტენციურ საფრთხეებს შეიცავს.

მდინარე ენგურზე არსებული რუხის ხიდის ძირითადი გადასასვლელით სარგებლობა გალის მოსახლობის დიდი ნაწილისთვის სირთულეებთან არის დაკავშირებული, ამიტომ ისინი ცდილობენ საზღვრის ხაზი სხვა წერტილებში გადაკვეთონ. ეს უკანონოა აფხაზეთის ხელისუფლების და იმ რუსი მესაზღვრეების აზრით, ვისაც მათ ამ გადაკვეთების მართვის უფლებამოსილება გადააბარეს - და მათი კოლეგებისთვის სამხრეთ ოსეთიდან. მათ, ვინც ასე იქცევა, ძალადობის, დაკავების, დაპატიმრების, ჩხრეკის და ჯარიმების საფრთხე ემუქრებათ.

არსებული ინფორმაციის თანახმად, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები არ მიმართავენ ადეკვატურ ზომებს იმისათვის, რომ გალის ყველა მაცხოვრებელმა მიიღოს საზღვრის გადაკვეთის ნებართვა, რაც კიდევ უფრო ზრდის მათ დაუცველობას. ადგილობრივების განცხადებით, საზღვარზე გარანტირებული უსაფრთხო გადაკვეთა მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. მათი თქმით, ერთადერთ ოფიციალურ გამშვებ პუნქტშიც საბაჟო პროცედურები არალეგალურად ხორციელდება, რაც გზას უხსნის თვითნებობას და ძალადობას. განზრახულია დამატებით კიდევ ოთხი გადასასვლელის მოწყობა, ორ-ორის რუხის ხიდის თითოეულ მხარეს, მაგრამ მათი გახსნის ოფიციალური თარიღი უცნობია.

ახალგორში მდებარე ღია გამშვები პუნქტი ხეობაში შესასვლელი ერთადერთი გზაა. არსებული ინფორმაციით, წესების დაცვის გამჭირვალობა აქაც ისევე ირღვევა და ისეთივე თვითნებობა და მაღალი გადასახადებია, როგორც რუხის ხიდის გადასასვლელზე. საქართველოს მხარეს ხეობაში საქონლის შეტანაზე ოფიციალური შეზღუდვები ჯერ კიდევ არ დაუწესებია.

დასასრულს, იმ სოფლების მაცხოვრებლები, რომლებიც სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ხაზის მომიჯნავედ ცხოვრობენ, საკუთარი ქონების, მინდვრების და საქონლის მონახულების დროს ყოველ დღე დაკავების რისკზე მიდიან. მათზე ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს აგრეთვე საზღვრის მეორე მხარეს, სმენადობის არეალში სიტემატურად მიმდინარე საბრძოლო წვრთნები.[14] კონფლიქტის ხაზების გასწვრივ მდებარე ყველა ტერიტორიაზე კვლავ ადგილი აქვს, თუმცა ნაკლები სიხშირით, ძალადობრივ „ინციდენტებს“ დაწყებული ქონების ქურდობით და დამთავრებული ადამიანების მოტაცებებით და აფეთქებებით, მათ შორის ნაღმების.

კონფლიქტები, რომლებშიც ადგილობრივი მოსახლეობა მონაწილეობს, შესაძლოა გადაიზარდოს ძალადობაში და გამოიწვიოს შეაირაღებული ესკალაციის პროვოცირება. გალში ადრე მოწყობილი თავდასხმები, აფხაზების განცხადებით, ქართველების მიერ მოწყობილი დივერსიების შედეგია. არსებობს თეორიული საფრთხე, რომ ანალოგიური შეიძლება ახალგორშიც განმეორდეს. საქართველო, თავის მხრივ, აფხაზეთის

[14] ევროკავშირის სადამკვირებლო მისიის გორის საველე ოფისის ოფიციალური წარმომადგენლები, ინტერვიუ ავტორებთან.

ხელისუფლებას გალის მოსახლეობის დაშინების მიზნით ძალადობის აქტების ორგანიზებაში ადანაშაულებს. 2010 წლის დეკემბერში, საქართველოს მთავრობამ მინიმუმ გალის ერთი მაცხოვრებელი დააპატიმრა და ორ დანარჩენზე ძებნა გამოაცხადა იმ ბრალდებით, რომ ისინი თბილისში დივერსიის აქტების მოწყობის მიზნით საქართველოში ბაზირებულ რუს სამხედრო ოფიცერთან თანამშრომლობდნენ.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ გადაადგილების შეზღუდული თავისუფლების მინიჭებისთვის მხარეების მზადყოფნა შექების ღირსია, ამ პრინციპის განხორციელების კუთხით გასაკეთებელი კიდევ ბევრია. შედეგად, შესაძლოა მივიღოთ სიტუაცია, რომელიც გამოიწვევს სერიოზული მასშტაბის ინციდენტებს და კონფლიქტებს. გადაადგილების თვითნებურმა აკრძალვამ, ადგილობრივ მოსახლეობას და ნდობადაკარგულ ხელისუფლებას შორის გაუმჭვირვალე ურთიერთობამ და საზღვრისპირა ზონაში ჩადენილმა დაშაულებებმა შესაძლოა გამოიწვიონ ძალადობა, რომლებსაც, საბოლოო ჯამში, შესაძლოა შედეგად მოწოდებები ძალის აშკარა გამოყენებასა და ძირგამომთხრელი საქმიანობისაკენ.[15]

ამასთან ერთად, მოსახლეობა მოწყვლადია იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი საზღვარზე ინციდენტის გარეშე გადადის ან საკუთარი სახლის ტერიტორიაზე იმყოფება. ისინი გალის და ახალგორის ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ძალადობის, მათ საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული გაურკვევლობის და ეკონომიური სიდუხჭირის მსხვერპლი ხდებიან. ორივე რეგიონის მოსახლეობას დაკარგული აქვს ნდობა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მათი ძირითადი ადამიანის უფლებების დაცვის მიმართ და გალის მაცხოვრებლებს აშკარად ჩამორთმეული აქვთ პოლიტიკური უფლებები (ხელისუფლება მათ საარჩევნო უფლებაზე უარს ეუბნება). ერთმა იძულებით გადაადგილებულმა პირმა ახალგორიდან ავტორებს განუცხადა, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ მას საკუთარი სარგებლობის მიზნით ბინა წაართვა.

ქალაქ ახალგორში არსებულ სახლებს არ მიეწოდებათ ბუნებრივი აირი, რის გამოც ამ რეგიონიდან იძულებით გადაადგილებული პირებისთვის თავიანთ სახლებში სამუდამოდ დაბრუნების პერსპექტოვა ნაკლებად მომხიბლავია.

დასასრულს, სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ხაზის მიმდებარე საქართველოს მოსახლეობას სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებამ წყლის მიწოდება შეუწყვიტა, რომელსაც თავდაპირველად განზრახული ჰქონდა წყალი საქართველოსთვის მიეყიდა, მაგრამ მას შემდეგ იგი საპასუხოდ ახალგორისთვის გაზის მიწოდებას მოითხოვს.[16]

---

[15] მალტე ვიფჰაუზი და დეივიდ ვუდი, „ცხოვრება საზღვრის ხაზზე: შიდა ქართლის უსაფრთხოების მომავალი“ (ლონდონი: სეიფუორლდ, 2010) იხ. მულზე: http://www.saferworld.org.uk/downloads/pubdocs/Life%20on%20the%20boundary%20line%20REV.pdf

[16] მოითხოვს თუ არა ამას სამხრეთ ოსეთი, დარწმუნებულია რა, რომ საქართველო ამას ვერ გააკეთებს, ან გააუქმებს თუ არა იგი დაბრუნებასთან დაკავშირებულ დაბრკოლებებს, რათა აჩვენოს, რომ სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების რეჟიმის პირობებში ცხოვრება გამართლებულია, გაურკვეველია.

ცხინვალის ხიდი
ანგარიშის ავტორების ფოტო

ჰუმანიტარული მონიტორინგი

მიმდინარეობს დავა იმის შესახებ შესაძლებელია თუ არა ევროკავშირის სადამკვირებლო მისიის საქართველოში (ესმი) აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში განლაგება. ევროკავშირი ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების განხორციელების ზომების თანახმად რომელიც ევროკავშირს ძალის გამოუყენებლობის გარანტად მიიჩნევს, ესმი-ს პასუხისმგებლობებს განმარტავს, როგორც სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში სადამკვირებლო საქმიანობის განხორციელებას. შეასაბამისად, ესმი-ს ოფიციალური მანდატი ითვალისწინებს „მხარეთა ქმედებებზე სამოქალაქო მონიტორინგს, მათ შორის ექვსპუნქტიან შეთანხმებასთან და შემდგომი განხორციელების ზომების ხელშეკრულებასთან სრულ შესაბამისობას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე“.[17] – ხაზგასმა მისათითებელია, არ ჩანს...

[17] ესმი-ს მანდატის საფუძველს წარმოადგენს: საბჭოს ერთობლივი მოქმედება 2008/736 საქართველოში ევროკავშირის სადამკვირებლო მისიის 2008 წლის 15 სექტემბრის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა (CFSP), იხ. ბმულზე: http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2008:248:0026:0031:EN:PDF

რუსეთი, სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის ხელისუფლებებთან ერთად ესმი-ს სადამკვირებლო მისიის სამხრეთ ოსეთში და აფხაზეთში შესვლას ეწინააღმდეგება. მათი განცხადებით, ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების მანდატი გარკვევით ითვალისწინებს ევროკავშირის ყოფნას კონფლიქტის ზონების მხოლოდ საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებად მხარეზე.[18]

აღნიშნული უთანხმოების მიუხედავად, ყველა მხარე დაინტერესებულია ობიექტური მონიტორინგით, რომელიც გააკონტროლებს ადამიანის უფლებების და საზღვრისპირა ზოლში მცხოვრები მოსახლეობის ადამიანის უსაფრთხოების დაცვას და ხელს შეუწყობს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პროვოკაციების ან უმნიშვნელო კონფლიქტების შესაძლო ესკალაციას. არცერთ მხარეს არ ძალუძს ამ მიზნების დამოუკიდებლად მიღწევა.

ორმხრივმა შეთანხმებებმა უნდა უზრუნველყონ ესმი-ს გალში და ახალგორში დაშვება, მაგრამ ეს უნდა მოხდეს ისე, რომ მან არ გამოიწვიოს მხარეთა უთანხმოება მისიის არსებული მანდატის ირგვლივ. ეს ახალი ამოცანების წინაშე დააყენებს არსებულ ობიექტურ დამკვირებელს – რომელიც ამჟამად მსგავს მოვალეობებს კონფლიქტის ხაზის ორივე მხარეს ასრულებს.

ასეთი დაშვება, სავარაუდოდ, მხარეთა სრული ნდობის პირობებში მოხდება, თუ მას ეტაპობრივი ხასიათი ექნება. გალში და ახალგორში განხორციელებული ცალკეული სადამკვირებლო ვიზიტები – სავარაუდოდ ამ მიზნით პირდაპირ ევროპიდან ჩამოფრენილი დამკვირებლების მიერ – შესაძლოა გაგრძელდეს პერიოდულად დაგეგმილი ვიზიტების, რეგულარული მონიტორინგის დაშვების და, საბოლოოდ, ადგილობრივი საკონტაქტო ჯგუფების ჩამოყალიბების სახით.

ნაკლებად სავარაუდოა, რომ გალში და ახალგორში დისლოცირებული რუსი სამხედროები და მესაზღვრეები ესმი-ს თავიანთ ობიექტებზე დაუშვებენ. ამიტომ, შეთანხმებებში აღნიშნული უნდა ოყოს, რომ შეუიარაღებელი დამკვირებლების ამ ტერიტორიებზე ყოფნის ერთადერთი მიზანი ადგილობრივ მოსახლეობაზე და არა სამხედრო ობიექტებზე დაკვირვებაა. ამასთან ერთად, ეს შეთანხმებები უნდა ითვალისწინებდეს ურთიერთგაგების მემორანდუმის გაფორმებას სმი-ს და ადგილებზე რიტორიაზე დისლოცირებულ რუს სამხედრო მეთაურებს შორის. იგი იქნება მსგავსი იმისა, რაც ესმი-მ საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებთან გააფორმა, რომელშიც ზუსტად არის განსაზღვრული დამკვირებლების უფლებები.

რაც მთავარია, როგორც ჩანს, ესმი-მ თავისი ორწლიანი ობიექტური და გამჭირვალე საქმიანობის შედეგად რუსი სამხედროების ნდობა მოიპოვა. ეს ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგან, როგორც წესი, რუსი სამხედროები უნიფორმიან ევროპელებს სიფრთხილით ეკიდებიან, განსაკუთრებით რუსეთის საზღვრების ახლოს.

---

[18] გრიგორი კარასინი, 2008 წლის 2 დეკემბრის გაზეთ *„იზვესტიის"* სტატიის თარგმანი, იხ ვებ-გვერდზე:
http://www.mid.ru/Brp_4.nsf/arh/C52E5FBF13FC3FE7C3257523003F9F4F?OpenDocument.

ორმხრივ შეთანხმებებთან დაკავშირებული რეკომენდაციები

მხარეებმა უნდა შეიმუშაონ ორმხრივი შეთანხმებები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება ზემოხსენებულ საზღვრისპირა ზოლში მცხოვრები მოსახლეობის და ჰუმანიტარულ მონიტორინგთან დაკავშირებული საკითხები.
პირობები უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- მხარეები ნებას დართავენ გალის და ახალგორის მაცხოვრებლებს თავისუფლად გადაკვეთონ გამშვები პუნქტები. ნებართვები, მათი გაცემის შემთხვევაში, იქნება უსასყიდლო და ადვილად მისაღები – როგორც ქალაქ გალში და ახალგორში, ასევე გამშვებ პუნქტებშიც;
- მხარეები შეიმუშავებენ კოორდინირებულ „უბაჟო" რეჟიმებს განსაზღვრული რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო საქონლის ტრანსპორტირებაზე გალსა და ახალგორში და უკან;
- მოხდება გადაკვეთის პროცედურების ლეგალიზება და თვალსაჩინო ადგილზე გამოკვრა გამშვებ პუნქტებში და დასახლებულ ცენტრებში
- კონფლიქტის ხაზის ორივე მხარეზე მდებარე სოფლების მოსახლეობას, რომლებიც შემთხვევით გადავლენ საზღვრის მეორე მხარეს, უფლება ექნებათ დაუბრუნდნენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილს დაკავების ან ჯარიმების გარეშე
- უფრო ინტენსიური ხასიათი ექნება კონფლიქტების პრევენციის და ნდობის გაძლიერების მიზნით მოწყობილ ინციდენტების პრევენციის და რეგირების მექანიზმებისადმი მიძღვნილ შეხვედრებს
- აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებები თავს შეიკავებენ კონფლიქტის ხაზის ახლოს საბრძოლო წვრთნების ჩატარებისაგან
- ევროკავშირის სადამკვირებლო მისია დაშვებული იქნება გალში და ახალგორში ჰუმანიტარული მისიების განსახორციელებლად. დამკვირებლების დაშვება განხორციელდება ეტაპობრივად, დაწყებული დამკვირებლების პირდაპირ ევროპიდან ჩამოყვანით. ბოლო ეტაპზე, ორივე რეგიონში გაიხსნება სადამკვირებლო ოფისები.

აფხაზეთი

- გაიხსნება დამატებითი გამშვები პუნქტები გალში შესასვლელად და გამოსასვლელად

სამხრეთ ოსეთი

- ნებადართული იქნება როგორც საზღვრის კონტროლირებადი გადაკვეთები ქორწინებების, დაკრძალვების და სხვა სოციალური ღონისძიებების ჩატარების, ასევე რეგულარული გადაკვეთები გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევის მიზნით
- სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება აღუდგენს წყლის მიწოდებას კონფლიქტის ხაზის მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობას. საერთაშორისო დახმარების საფუძველზე განახლდება ზონკარის კაშხალის სარეაბილიტაციო სამუშაოები სამხრეთ ოსეთში

- საქართველოს მთავრობა პრიორიტეტულად მოახდენს გარიგებას ახალგორის მოსახლეობისთვის ბუნებრივი აირის მიწოდების შესახებ
- დაცული იქნება საკუთრების უფლებები ახალგორში

შემდგომი ორმხრივი შეთანხმებები

ზემოთ აღწერილია დროებითი რეკომენდაციები ჰუმანიტარული სიტუაციის შემსუბუქებისა და კონფლიქტის მხარეებს შორის არსებული შეზღუდული ურთიერთობების განმტკიცებისა და განვითარების მიზნით. ხოლო აქ აღნიშნული რეკომენდაციები უმთავრესად გამიზნულია ქართველებით დასახლებული გალის და ახალგორის რაიონებისთვის. საბოლოო ჯამში, აუცილებელი იქნება თავისუფლად გადაადგილების უფლების გაზრდა და კონფლიქტის ზონაში ვაჭრობის ხელშეწყობა.

თავისუფლად გადაადგილების უფლება, როგორც მინიმუმ, გარანტირებული უნდა იყოს აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში ამჟამად მცხოვრები ყველა პირისთვის. აფხაზეთის შემთხვევაში, ეს გულისხმობს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება კონფლიქტის ხაზის გადაკვეთის უფლებას მისცემს ყველა მაცხოვრებელს და არა მხოლოდ გალელებს, ან შემთხვევით გამონაკლისებს. რაც შეეხება სამხრეთ ოსეთს, თავისუფლად გადაადგილების უფლების გაზრდისთვის ახალგორისა გარდა სხვა დამატებითი გამშვები პუნქტების გახსნა იქნება საჭირო.

საქართველოს მთავრობა, თავის მხრივ, მზად არის გახსნას დამატებითი გამშვები პუნქტები, მათ შორის, ცხინვალში შემავალი ძირითადი გამშვები პუნქტი ერგნეთში და კიდევ ორი სხვა. როგორც აფხაზეთთან, ასევე სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით, საქართველო ვალდებულია აღნიშნული მხარეები დაარწმუნოს, რომ დაცული იქნება მოსახლეობის თავისუფლად გადაადგილების უფლება.

ომისშემდგომი ვითარების გათვალისწინებით, მოსალოდნელია, რომ სამხრეთ ოსეთის მოსახელობის მცირე რაოდენობამ მოითხოვოს კონფლიქტის ხაზის რეგულარულად გადაკვეთის ნებართვა. ურთიერთობის და ეკონომიკური კავშირების ხელშეწყობის მიზნით მხარეებმა შესაძლოა ხელახლა განიხილონ სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ხაზზე ღია ბაზრობის მოწყობის საკითხი.

ეს ხელახლა აამოქმედებს ცნობილ ერგნეთის ბაზრობას, რომელიც საქართველოს ხელისუფლების მიერ 2004 წელს დაიხურა როგორც არალეგალური საბითუმო ვაჭრობის პუნქტი. იგი შეასრულებს სასოფლო-სამეურნეო და შეზღუდული სამომხმარებლო საქონლის ლეგალური, რეგულირებული ბაზრის ფუნქციას. არსებული ინფორმაციით, ვაჭრობის გაუქმებამ გამოიწვია სამხრეთ ოსეთის ცხოვრების დონის გააუარესება, ამიტომ მათ ამ ბაზრობის ხელახლა გახსნას მხარი უნდა დაუჭირონ. ამ ფაქტს დადებითად უნდა შეხვდეს კონფლიქტის ხაზის გასწვრივ მცხოვრები ქართული მოსახლეობაც.

საქართველოს მთავრობის სტრატეგიების დახვეწა

ურთიერთობა აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან

საქართველოს სახელმწიფო სტრატეგია აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან კონტაქტების აღდგენის იმედისმომცემ საფუძველს იძლევა, მაგრამ მისი განხორციელება მთელ რიგ პრობლემებთან არის დაკავშირებული.

ერთ ერთ პრობლემას ის წარმოადგენს, რომ აუცილებელია აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებებს მხირადნ თანამშრომლობა, რომლებმაც, რუსეთთან ერთად, ყოველგვარი განხილვის გარეშე საჯაროდ უარყვეს აღნიშნული სახელმწიფო სტრატეგია.[19] ეს აიხსნება სხადასხვა მიზეზით:

- პირველი: ისინი პრეტენზიას აცხადებენ, რომ სახელმწიფო ,,სტრატეგია (რომლის ოფიციალური სახელწოდებაა ,,სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ – ჩართულობა თანამშრომლობის გზით,,) ეფუძნება აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის, როგორც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ცნებას – რასაც ისინი გადაჭრით უარყოფენ და რაც მათ იურიდიული სუბიექტის სტატუსს ართმევს.

- მეორე: სახელმწიფო სტრატეგიაში აქცენტი გაკეთებულია ,,გაყოფილ მოსახლეობებზე,, რაც, მათი განცხადებით, გულისხმობს, რომ მისი მიზანია საქმიანობის განხორციელება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი სარგებლობას მოუტანს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ეთნიკურად ქართველ მოსახლეობას (მაცხოვრებლები და იძულებით გადაადგილებული პირები)

- მესამე: იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქართველო პირდება დახმარებებს ეთნიკურად არაქართველ მოსახლეობას, ისინი ამას აღიქვამენ როგორც სიცრუეს, რომლის ერთადერთი მიზანია საქართველოს რეპუტაციის რეაბილიტაცია საერთაშორისო თანამეგობრობაში

- მეოთხე: იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქართველო მართლაც აპირებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული დახმარებების პროგრამის განხორციელებას, ხელისუფლებები წინააღმდეგნი არიან ამ და სხვა ისეთი საქმიანობისა, რომლებიც საფრთხეს უქმნიან აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის საქართველოდან გამოყოფის მცდელობას. ამის მაგალითია საქართველოს მიერ გაცემული ნეიტრალური სამოგზაურო დოკუემენტების მოსალოდნელი შემოღება. კერძოდ, საქართველოს მთავრობა აპირებს მიმართოს ქვეყნებს თხოვნით ოფიციალურად აღიარონ ისინი როგორც მოქმედი საერთაშორისო სამოგზაურო დოკუმენტები

---

[19] მთელი რიგი ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მსგავსად, რომლებმაც, მიუხედავად იმისა, რომ ისინი საქართველოს მთავრობის მიერ გაცხადებულ განზრახვას მოწონებით შეხვდნენ, გამოთქვეს ეჭვები სტრატეგიის ეფექტურობის და/ან კეთილი განზრახვების შესახებ.

იმ რუსული პასპორტების სანაცვლოდ, რომლებითაც აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის უმრავლესობა სარგებლობს.

- დასასრულს, არასამთავრობო ორგანიზაციები კატეგორიულ პრეტენზიას გამოთქვამენ საქართველოს მთავრობის დაჟინებულ მოთხოვნაზე გააკონტროლოს ყველა ის საქმიანობა, რომელთა განხორციელებასაც არასამთავროები აპირებენ აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში.[20]

ამ საწინააღმდეგო მოსაზრებებიდან ზოგიერთი საჭიროებს ანალიზს ან დაკავშირებულია პოლიტიკურ საკითხებთან. ყოველ შემთხვევაში, ერთი გარკვეული საკითხი ეხება კანონს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ. ეს კანონი უკანონოდ ცნობს აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში განხორციელებულ ეკონომიკურ საქმიანობას, რომელიც საქართველოს ცხრა ცალკეული კანონის საფუძველზე საჭიროებს „ლიცენზიას, ნებართვას, სანქციას ან რეგისტრაციას„ ან ნებისმიერ სხვა ეკონომიკურ საქმიანობას, რომელიც, ასეთი ნებართვების არარსებობის შემთხვევაში, საჭიროებს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე „შეთანხმებას„ გამონაკლისები დაიშვება მხოლოდ სპეციალური სამთავრობო ნებართვის საფუძველზე იმ შემთხვევაში, როდესაც ითვლება, რომ ასეთი საქმიანობა ემსახურება "საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას, დეოკუპაციას, ნდობის განმტკიცებას ან ჰუმანიტარულ მიზნებს." ვინაიდან სახელმწიფო სტრატეგიით გათვალისწინებული საქმიანობების დიდი ნაწილი ეკონომიკური ხასიათისაა, ისინი საჭიროებენ ნებართვას ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის შესაბამისად, ან რეინტაგრაციიის სამინისტროს მიერ განხილვას, რომელიც ასევე იტოვებს უფლებას უარი თქვას იმ პროექტებზე, რომლებიც ვერ ჯდებიან სახელმწიფო სტრატეგიის ჩარჩოებში. 2008 წლის ბოლოსთვის, საქართველოს მთავრობის მიერ აფხაზეთში შეთანხმებული იყო ენერგო სექტორში მომუშავე 24 კომპანიის, ასევე გალის ცენტრალური საავამდყოფოს, 1990 წელს აფხაზეთის კონფლიქტის დროს დაჭრილების ასოციაციის და ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის ეკონომიკური საქმიანობა.[21] თუმცა, გაურკვეველია, კვლავ გრძელდება თუ არა ასეთი გამონაკლისების დაშვება, ან დაამტკიცა თუ არა მთავრობამ ის საქმიანობა, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული.

---

[20] უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი საქმიანობის „პირობების" ფორმულირება ბუნდოვანია, ამიტომ შესაძლოა გაგებული იქნას ისე, რომ სახელმწიფო რეინტეგრაციის სამინისტრომ უნდა გააკონტროლოს მხოლოდ ის საქმიანობა, რომელიც აკრძალულია კანონით ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ (იხ. ქვემოთ). მიუხედავად ამისა, მთავრობის ოფიციალურმა პირებმა დაადასტურეს, რომ პირობები ეხება ყველა საქმიანობას, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სახელმწიფო სტრატეგიის შესაბამისად.

[21] „საინფორმაციო ბიულეტენები ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონზე," ევროპის კომისია დემოკრატიისათვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია), 5 მარტი, 2009წ., იხ. ბმულზე: http://www.venice.coe.int/docs/2009/CDL(2009)044-e.asp.

კანონი საკმაოდ ბუნდოვანია აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მაცხოვრებლების გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვებთან მიმართებით. აღნიშნული წარმოადგენს ურთიერთობის საკვანძო პრონციპს და ასევე მთელი რიგი დაპირებული სოციალური მომსახურებების გაწევის აუცილებელ პირობას. კანონი ითვალისწინებს "უცხო ქვეყნების მოქალაქეების და მოქალაქეობის არმქონე პირების" ლეგალურად გადასვლას აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში მხოლოდ საქართველოში არსებული ძირითადი სახმელეთო გადასასვლებიდან და უკანონოდ აცხადებს გადასვლას რუსეთთან საზღვრების გადაკვეთით – ასევე საზღვაო, საჰაერო ან სარკინიგზო გზებით და საქართველოში მდებარე მეორეხარისხოვანი შემშვები პუნქტებიდან – შესაძლო გამონაკლისების დაშვებით.

აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის უმრავლესობა თავს არ თვლის საქართველოს მოქალაქედ და მიღებული აქვს რუსეთის მოქლაქეობა. თუ ასეა, მაშინ ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონი თავისუფლად შეიძლება გამოყენებული იქნეს იმ მაცხოვრებლების მიმართ სანქციების გამოყენების ან დაპატიმრების მიზნით, ვინც აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში რუსეთიდან ადრე შევიდნენ. ასეთმა შეუსაბამობამ შესაძლოა გამოიწვიოს კანონის ბოროტად გამოყენება იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქართველო მათ თვლის როგორც დე ფაქტო საქართველოს მოქალაქეებად, ასევე არაკანონიერ რუსეთის მოქალაქეებად და, შესაბამისად, კანონგარეშე სუბიექტებად. კანონმა რაც შეიძლება ნაკლებად უნდა შეუშალოს ხელი ასეთი მაცხოვრებლების მიერ კონფლიქტის ხაზების ურთიერთობის მიზნით გადაკვეთას.

შეუძლებელია სახელმწიფო სტრატეგიასთან დაკავშირებული ყველა არაპოლიტიკური უთანხმოების და გამოწვევის მოგვარება საკითხის პირდაპირ დასმით. როგორც წესი, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ საქართველოს მთავრობა მხარს დაუჭერს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მაცხოვრებლების გადაადგილებას რუსული პასპორტების გამოყენებით. ამასთან ერთად, მოსალოდნელია, რომ მთავრობას ექნება სურვილი ფლობდეს ინფორმაციას აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში დონორების მიერ დასპონსორებული პროექტების შესახებ და დაიტოვებს უფლებას წავიდეს ასეთი პროექტების წინააღმდეგ. სტრატეგია ნამდვილ გამოცდას გაივლის მაშინ, როდესაც საქართველო თანმიმდევრულად შეიკავებს თავს იმ პროექტების უარყოფისგან, რომლებიც გარკვევით პასუხობენ სტრატეგიის მიზნებს. ეს საკითხი მოფიქრებას საჭიროებს.

საქართველოს მთავრობამ უნდა შეცვალოს საკუთარი სტრატეგია კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივების გაუმჯობესების მიზნით, კერძოდ:

- აღიაროს, რომ მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად ძირითადი ყურადღება კონცენტრირებულია რუსულ-ქართულ კონფლიქტზე, ამით არ აღმოფხვრილა, არამედ ფაქტიურად გაიზარდა სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის შეშფოთება მათი ფიზიკური უსაფრთხოების და მათი თვითმართველობის მიმართ საქართველოს ვალდებულების შესახებ.

- ჩათვალოს ყველა წინგადადგმული ნაბიჯი, რაოდენ მცირეც არ უნდა იყოს იგი, პროოგრესად კონფლიქტის მოგვარების გზაზე და არა, როგორც უმნიშვნელო და/ან მოსაგები ქულები.

- ნათლად განმარტოს, რომ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მოქალაქეები, რომლებსაც საქართველო თვლის თავის მოქალაქეებად, თავისუფლები არიან ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონით გათვალისწინებული საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული შეზღუდვებისაგან.

- სისტემატურად შეუწყოს ხელი დონორი და არასამთავრობო ორგანიზაციების ურთიერთობას სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის ხელისუფლებასთან და მოსახლეობასთან სახელმწიფო სტრატეგიის საფუძველზე მნიშვნელოვანი და მიზანშეწონილი პროექტების გამოვლენის მიზნით.

- გააგრძელოს საჯარო განცხადებები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ეკონომიკური საქმიანობის სანქცირებასთან დაკავშირებული მისი ვალდებულების თაობაზე სახელმწიფო სტრატეგიის შესაბამისად. გაახმაუროს და გამჭირვალე გახადოს სანქცირების პროცესი, მისცეს საზოგადოებას საშუალება გაეცნოს ელექტრონულ ინფორმაციას წარმატებული აპლიკანტების, განხილვის სტადიაში მყოფი აპლიკაციებისა და დასაბუთებული სანქცირების ან უარის თქმის შესახებ.

- შეეცადოს კეთილი ნება გამოხატოს და ამით შეინარჩუნოს კონსტრუქციული ურთიერთობა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მიმდინარე საქმიანობების მონაწილეებთან. მტრული ურთიერთობები არასამთავრობო ორგანიზაციებთან (ადგილობრივი და საერთაშორისო), დონორ ორგანიზაციებთან და მსხვილ სახელმწიფო დონორებთან გაართულებს საქართველოს მიერ გაცხადებული პოლიტიკის მიზნების შესრულებას.

- ნებისმიერ პროექტის მხარდაჭერა მნიშვნელოვანია იმის მიუხედავად აკმაყოფილებენ თუ არა ისინი კრიტერიუმებს. როგორც ყოფილმა დიპლომატმა ზურაბ აბაშიძემ აღნიშნა, “ სტრატეგია უნდა ასახავდეს განზრახვას და არა ფარატინა ქაღალდს.”[22]

- განიხილოს აფხაზეთთან მიმართებაში დამატებითი სტრატეგიის შემუშავება, რომელიც თავს აარიდებს ტერმინს “ოკუპირებული ტერიტორიები”, არ მოიხსენიებს მათ ხელისუფლებას როგორც “რწმუნებულებს” და გაითვალისწინებს აფხაზეთში სპეციალური დესპანის დანიშვნას, რომელიც აფხაზები ნდობით და პატივისცემით მოეპყრობიან.

- მოახდინოს თბილისში ბაზირებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის რეორგანიზაცია (რომელიც წარმოადგენს აფხაზეთის ლეგიტიმურ

[22] ზურაბ აბაშიძე, ინტერვიუ ავტორებთან, თბილისი, დეკემბერი, 2010წ.

მთავრობას) არჩევით "აფხაზეთიდან გადაადგილებული მოსახლეობის საბჭოდ", რომელიც აღჭურვილი იქნება აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირების – მათ შორის სამოქალაქო უფლებადაკარგული გალის მოსახლეობის წარმომადგენლობითი ხმით, როგორც საქართველოს მთავრობის, ასევე აფხაზეთის ხელისუფლების წინაშე და ასევე ხელს შეუწყობს სახელმწიფო სტრატეგიით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას.

- წაახალისოს და ხელი შეუწყოს Track 1.5 დიპლომატიას (პარალელურ დისკუსიებს) – შეხვედრებს სახელმწიფო მოხელეების და არასამთავრობო ორგანიზაციების ექსპერტების მონაწილეობით – მესამე ქვეყნებში (ევროპა და თურქეთი) საქართველოს და აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებს შორის, რომელიც ფოკუსირებული იქნება ახალგაზრდა თაობაზე, რომელმაც საფუძველი უნდა ჩაუყაროს მომავალ რეინტეგრაციას და ნდობის აღდგენის პროცესს.

ურთიერთობა რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონებთან

2008 წლის ომის შემდეგ, საქართველოს მთავრობას აშკარად უფრო ინტენსიური ურთიერთობა აქვს რუსეთის ფედერაციაში მდებარე ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობასთან, ვიდრე აფხაზეთის და სამხრეთ კავკასიის მაცხოვრებლებთან.[23] საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები დაჟინებით აცხადებენ (საკმაოდ საფუძვლიანადაც) რომ აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან კონფლიქტებმა საქართველოს ურთიერთობა გაუფუჭა ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა ხალხებთან. მათი განცხადებით, გაუგებრობას ხელი შეუწყო პოლარიზებულმა მედია გარემომ და სავაჭრო და სატრანსპორტო ბარიერებმა. შესაბამისად, საქართველომ, როგორც არასდროს, ისეთი მჭიდრო ურთიერთობები უნდა დაამყაროს მის ჩრდილოეთ კავკასიელ მეზობლებთან.

პოლიტიკა, რომელიც მათ აღნიშნული მიზნის მისაღწევად შეიმუშავეს თავისთავად არ არის პრობლემატური. როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველო რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონების მაცხოვრებლებს საშუალებას აძლევს შემოვიდეს საქართველოში ვიზის გარეშე მისი სახმელეთო სასაზღვრო გადასასვლელების გავლით ისე, რომ ვიზის მისაღებად არ დასჭირდეს მოსკოვში, ან სადმე სხვაგან გამგზავრება. ამასთან ერთად, საქართველოს მთავრობა და სახელმწიფო უნივერსიტეტის სისტემა ხელს უწყობენ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში და შავი ზღვის სანაპიროზე მოსახლე ჩერქეზების ისტორიით დაინტერესებას, რომლებიც ეთნიკურად აფხაზებს ენათესავებიან და რუსეთის იმპერიის პერიოდში მასობრივი რეპრესიების მსხვერპლნი გახდნენ.

---

[23] ოლივერ ბულოუ, „წერილი თბილისიდან: გაერთიანებულ კავკასიას," *საგარეო საქმეები,* 23 დეკემბერი, 2010წ., იხ. ბმულზე: http://www.foreignaffairs.com/print/67166; სერგეი მარკედონოვი, „Северокавказская карта Грузии," სვობოდნაია მისლ № 12, 2010, გვ. 49-64.

მთავრობის მიერ ასევე დაარსდა რუსულენოვანი სატელევიზიო არხი *პირველი კავკასია,* რომელიც ძირითადად ჩრდილოეთ კავკასიის აუდიტორიისთვის არის გამიზნული. მთავრობამ არხი სამართავად გადასცა ბრიტანულ მედია კომპანიას მას შემდეგ, რაც წარუმატებლად დასრულდა არხის რეგულარული ევროპული სატელიტური კავშირით დაფარვის თავდაპირველი მცდელობა. კომპანიამ განაახლა როგორც არხი, ასევე მისი ინტერნეტსაიტი – ამჟამად იგი ცნობილია პირველი კავკასიური ახალი ამბების სახელით – რომელიც ამჟამად მთელ კავკასიას და უფრო ფართო რეგიონს მოიცავს. 2011 წლის იანვრის ბოლოს მათ მიიღეს ახალი სატელიტური მხარდაჭერა.[24]

საქართველოს მხრიდან ჩრდილოეთ კავკასიის დახმარების პროგრამასთან დაკავშირებული პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ იგი ხორციელდება ცალმხრივად, ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის არარსებობის პირობებში და რუსეთის იმ ნაწილისთვის, რომელიც ამ სახელმწიფოსთვის წარმოადგენს ყველაზე სერიოზულ შიდა საფრთხეს ძალადობრივი და მზარდი ისლამისტური მოძრაობის სახით – და მდებარეობს რუსეთისთვის ყველა პრესტიჟული პროექტის, 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ტერიტორიის გვერდით. საქართველოს მთავრობის მოტივების მიუხედავად, ეს პოლიტიკა მოსკოვის მიერ აღიქმება როგორც არასტაბილურობის გაღვივების მცდელობა. ფაქტობრივად, საქართველოს მთავრობის მოტივები არსებულ ვითარებასთან მიმართებაში არარელევანტური ხდება.

გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის ზოგიერთი ნაბიჯს აშკარად არაფერი აქვს საერთო ასეთ ურთიერთობასთან. მე-19 საუკუნეში ჩერქეზთა გენოციდის აღიარების და სოჭის ოლიმპიადისთვის (რომელიც უშუალოდ აფხაზეთის მდინარე ფსოუს გადაღმა უნდა გაიმართოს) საერთაშორისო ბოიკოტის გამოცხადების მიზნით გაკეთებული ოფიციალური მიმართვები ტოვებს ცეცხლზე ნავთის დასხმის განზრახვის შთაბეჭდილებას.[25] ოლიმპიადა, იმის გამო, რომ იგი ჩერქეზების ეთნიკური წმენდის ანუ გენოციდის ადგილზე ტარდება და ამ ფაქტის აღიარება დღემდე არ ხდება, ჩერქეზი მოსახლეობის დიდი ნაწილის, განსაკუთრებით მისი დიასპორის მზარდი კრიტიკის ობიექტია. ამავე დროს, ჩერქეზთა ნაწილი ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ჩერქეზთა გაერთიანებული რესპუბლიკის შექმნის მოძრაობის აქტიური მონაწილეები არიან. ჩექრეზები ამჟამად სამ ფედერაციუ ლი სუბიექტის ტერიტორიაზე ცხოვრობენ.

ურთიერთობის ოფიციალური რიტორიკა ხშირად ჟღერს უფრო როგორც მოწოდებები კავკასიის ხალხების (როგორც საქართველოს, ასევე რუსეთის მოქალაქეების)

---

[24] არხის ინტერნეტ გვერდი იხილეთ მბულზე: http://pik.tv/ru. იხილეთ აგრეთვე: „საქართველოს რუსულენოვანი არხის გაშვება„ Civil.ge, 24 იანვარი, 2011წ., იხილეთ ბმულზე: http://www.civil.ge/eng/article.php?id=23076.

[25] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის განცხადებით, ჩერქეზების გენოციდის აღიარება მართლაც შედის მთავრობის გეგმებში. იხილეთ: `My podstavili russkim grushnikam byvshego ofitsera,"Kommersant-Vlast', December 6, 2010, http://www.kommersant.ru/doc.aspx?DocsID=1549013.

განთავისუფლება "დამორჩილების, ასიმილაციის ან ანექსიისაგან გარე მჩაგვრელების მხრიდან. 2010 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის წინაშე სიტყვით გამოსვლის დროს პრეზიდენტმა სააკაშვილმა მოუწოდა "გაერთიანებული კავკასიისაკენ", რომელსაც "თავისუფლებისაკენ ძლიერი, ფუნდამენტური და დაუმარცხებელი სწრაფვა აერთიანებს", და განაცხადა, რომ ეს "ერთიანი კავკასია... ერთ დღეს შეურთდება თავისუფალი ერების ევროპულ ოჯახს, საქართველოს კვალდაკვალ."[26]

მართალია, სააკაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი კონცეფცია არ გულისხმობდა "საზღვრების შეცვლას", მის სიტყვები შეიცავდა მკაფიო მითითებას რუსეთის იმპერიის მიერ სამხრეთ კავკასიის დამორჩილებაზე, საბჭოთა პერიოდის დროინდელ ჩაგვრაზე, პოსტ-საბჭოთა ჩეჩნეთის ომზე და დანარჩენი რუსეთის ფონზე რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონებში არსებულ სოციალურ-ეკონომიურ უთანასწორებაზე. პრეზიდენტმა სააკაშვილმა მის სახელმწიფოს და რუსეთს შორის არსებული კონფლიქტი შეადარა იმ ბრძოლას, რომელსაც ამჟამად თან ახლავს ტერორისტული აქტები, რასაც მოსკოვის შუაგულში ათობით უდანაშაულო მოქალაქის სიცოცხლე ეწირება. აღნიშნული განცხადება. მაღალფარდოვანი, მაგრამ ძირითადად ფუჭი და/ან ყალბი რიტორიკის მიუხედავად, ძალზედ პროვოკაციული იყო.

აქედან გამომდინარე, მოსკოვი განიხილავს საქართველოს საგარეო ურთიერთობის პოლიტიკას როგორც საზღვრების დაცვის შესუტების მხარდაჭერას, სეპარატიზმის და სავარაუდოდ ტერორიზმის ხელშეწყობას, საერთაშორისო არენაზე რუსეთისთვის სერიოზული დაბრკოლებების შექმნას და საქართველოს და რუსეთს შორის არსებული დაძაბულობების შეგნებულად გაზრდას. ეს ყველაფერი ართულებს საქართველოს მთავრობის მიერ გაცხადებულ რუსეთთან დიალოგის განახლების და კონფლიქტის მოგვარების ხელშემწყობი გარემოს შექმნასთან დაკავშირებულ მიზნებს.

ამ დაბრკოლების გადალახვის მიზნით საქართველოს მთავრობის მხრიდან მიღებული უნდა იქნეს შემდეგი ზომები:

- დააზუსტოს, რომ ის პირები, რომლებიც საქართველოში ვიზის გარეშე შემოდიან, ექვემდებარებიან საზღვრის უსაფრთხოების სტანდარტულ პროცედურებს, რომლებიც მოწონებულია გარე დამკვირებლების მიერ.
- თავი აარიდოს რუსეთის მოქალაქეებს შორის დისკრიმინაციას ვიზის გაცემის ერთიანი წესების შემოღებით საქართველოს ყველა სახმელეთო სასაზღვრო გადასასვლელზე. საქართველო საშუალებას აძლევს რუსეთის მოქალაქეებს მიიღონ ვიზა მის სხვა ძირითად სახმელეთო საზღვრებზე. მან უნდა მიიღოს იგივე ზომები მის რუსეთის გადასასვლელებზე.

---

[26] „მისი აღმატებულების, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის შენიშვნები გაეროს გენერალური ასამბლეის 65-ე სესიაზე," 23 სექტემბერი, 2010წ., იხილეთ ბმულზე: http://www.president.gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=228&info_id=5506.

- განიხილოს რუსეთის ყველა მოქალაქისთვის "უფასო ვიზის" პოლიტიკის საკითხი. სხვა სიტყვებით, რუსეთის მოქალაქეებს მაინც დასჭირდებათ ვიზის მიღება – ეს პროცედურა განამტკიცებს აზრს იმის შესახებ, რომ საქართველო პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდება საზღვრის უსაფრთხოებას. მაგრამ ვიზა უნდა იყოს უფასო. ეს საქართველოს მთავრობას მისცემს საშუალებას გააგრძელოს მის მიერ გაცხადებული მიზნის - ჩრდილოეთ კავკასიის "დახმარების" პროგრამის განხორციელება აღნიშნული პროგრამის რუსეთის სხვა მოსახლეობებზე გავრცელებით. საქართველოში შემოსული რუსეთის მოქალაქეების რაოდენობის გაზრდის შედეგად გაიზრდება საქართველოს შემოსავალი ტურიზმის და ტრანსსასაზღვრო საქმიანობის გაფართოების ხარჯზე.

- გამოაცხადოს, რომ ჩერქეზეთის და ყველა სხვა ადგილობრივი რეგიონების ისტორიის კვლევის და მასთან დაკავშირებით მიმდინარე დისკუსიების მიუხედავად, იგი არ აპირებს რომელიმე ხალხის წარსული ტრაგედიის ოფიციალურად ცნობას. ამასთან ერთად, იგი ანალოგიური თხოვნით მიმართავს საქართველოს პარლამენტს.

- გამოაცხადოს, რომ იმისდამიუხედავად, რომ იგი იტოვებს უფლებას არ მიიღოს მონაწილეობა სოჭის ოლიმპიადაში, იგი არ განახორციელებს და არ მიემხრობა საერთაშორისო ბოიკოტს აღნიშნული თამაშების წინააღმდეგ.

- უზრუნველყოს, რომ პირველი კავკასიური ახალი ამბების არხი და ინტერნეტ გვერდი გააშუქებს ყველა მის რეგიონს და არ გადაიქცევა პროპაგანდის მანქანად.

- წაახალისოს, ან, მინიმუმ, ხელი არ შეუშალოს და არ გააკრიტიკოს Track II დიპლომატია (მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის) ან Track 1.5 დიპლომაცია (საქართველოს და რუსეთის წარმომადგენლებს შორის) შეხვედრები, როგორც რუსეთში, ასევე საქართველოში.

- მოერიდოს რიტორიკას, რომელიც რუსეთს წარმოაჩენს მტრად, ხოლო საქართველოს როგორც მუდმივი ომის მდგომარეობაში მყოფს.

რუსეთის საქართველოსთან მიმართ პოლიტიკის შეცვლა

რუსეთმა უნდა დაარწმუნოს ქართველები და საერთაშორისო საზოგადოება, რომ იგი ძალას აღარ გამოიყენებს საქართველოს წინააღმდეგ. ამასთან, მან უნდა განიხილოს ადგილზე და თბილისთან დაძაბულობების განმუხტვის განსხვავებული გზები და დაიწყოს ქართველ ხალხთან შერიგების პროცესი. ყველა შემდგომი ნაბიჯი აშკარად რუსეთის ინტერესებშია და არცერთი მათგანი არ აიძულებს მოსკოვს შეიცვალოს საკუთარი პოზიცია პრინციპულ საკითხებზე.

რუსეთის მმართველმა ხელისუფლებამ გარკვევით განაცხადა, რომ მას არ სურს საქართველოს პრეზიდენტ სააკაშვილთან ურთიერთობა. ეს არაკონსტრუქციული მიდგომაა, მაგრამ ეს "წითელი ხაზი" ნაკლებად სავარაუდოა შეიცვალოს მოკლე ან შუავადიან პერიოდში იმის გათვალისწინებით, თუ რამდენჯერ იქნა იგი გამეორებული. მიუხედავად ამისა, ერთია უარი თქვა სააკაშვილთან ოფიციალურ დიალოგზე, მაგრამ სხვა საქმეა მოეპყრო საქართველოს მთავრობას როგორც არამზადა ქვეყნის არალეგიტიმურ ხელისუფლებას, რომელიც წარმოადგენს პოზიციას, რომელსაც მოსკოვი ამჟამად მეტნაკლებად სიტვით და საქმით გამოხატავს.

ასეთი მიდგომის ჩამოყალიბების აშკარა მიზეზი ომის დამთავრების შემდეგ გაჩენილი ცხელი ემოციებია. ამჟამად, ასეთი პოზიცია არამზადა ურჩ სახელმწიფოდ ? ქვეყნად წარმოაჩენს თვით რუსეთს იმის გათვალისწინებით, რომ სხვა სახელმწიფოები საქართველოს ხელისუფლებასთან ანალოგიურ დამოკიდებულებას არ ამჟღავნებენ. პრეზიდენტებს შორის შეხვედრა და/ან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა სავარაუდოდ შორეული პერსპექტივაა, მაგრამ მოსკოვმა, რა თქმა უნდა, უნდა შეცვალოს მისი ხისტი რიტორიკა და დაიწყოს სისტემატური სამუშაო დონის კონსულტაციები დაძაბულობების განსამუხტავად და ძალადობის განახლების ალბათობის შესამცირებლად. ეს იქნებოდა პირველი ნაბიჯი კონფლიქტის მოგვარების პროცესში საქართველოს მთავრობის სრულუფლებიან პარტნიორად აღიარების გზაზე.

უდავოდ მისასალმებელია რუსეთის ხელისუფლების მხრიდან ქართველი და რუსი ხალხის მეგობრობის მუდმივი გამოხატვა, მაგალითად, პრემიერ მინისტრ პუტინის 2010 წლის განცხადება: "მომავალი რუსეთსა და საქართველოს შორის მეზობლურ, ჭეშმარიტად თანასწორ პარტნიორულ ურთიერთობებს ეკუთვნის. ეს რუსეთის გულწრფელი სურვილია."[27] მიუხედავად ამისა, ამჟამად ქართველებისთვის რუსეთში შესვლა უაღრესად რთულია, რაც პრემიერ მინისტრის სიტყვებს განზრახულობათა დეკლარაციის, მაგრამ არა პოლიტიკის, ელფერს ანიჭებს.

2010 წლის ნოემბერში, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თბილისში შვეიცარიის საელჩოს საკუნსულო განყოფილების მისი ოფიციალური წარმომადგენლების მეშვეობით დააჩქარა იმ ქართველების ვიზების გაფორმება, რომლებიც მოსკოვში Track II ღონისძიებაზე მიემგზავრებოდნენ. მსგავსი ერთჯერადი შემთხვევები ვერ უზრუნველყოფს იმ ტიპის ურთიერთობას, რომელიც ამ ორ საზოგადოებას შორის ამჟამად არსებული განხეთქილების დარეგულირებისთვის არის აუცილებელი.

დასასრულს, რუსეთის მომხარებელთა დაცვის ფედერალურმა სამსახურმა, ანუ როსპოტრებნადზორმა უნდა გადახედოს მის მიერ 2006 წელს მიღებულ გადაწყვეტილებას ქართული ღვინის და მინერალური წყლის სანიტარული ხარისხის თაობაზე. ამ გადაწყვეტილებების შედეგად რუსეთს თავის დროზე საქართველოსთან

[27] „პრემიერ მინისტრი ვლადიმერ პუტინი ესწრება მეორე მსოფლიო ომის მონუმენტის გახსნას მოსკოვის პოკლონნაია გორას მემორიალურ პარკში," რუსეთის ფედერაციის მთავრობა, 21 დეკემბერი, 2010წ., იხილეთ ბმულზე: http://www.government.ru/eng/gov/priorities/docs/13486/.

ვაჭრობის ძირითადი პროდუქტის იმპორტი აეკრძალა. ამ გადაწყვეტილების მიღების დროს საეჭვოდ დაემთხვა პოლიტიკური ურთიერთობის გაფუჭებას. მიუხედავად ამისა, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებიც კი არ მალავენ, რომ რუსეთში რეალიზებული ზოგიერთი პროდუქტის, მათ შორის ღვინის და მინერალური წყლის ხარისხი ნამდვილად შორს იყო იმისაგან, რაც მათ ქვეყანას უნდა შეეთავაზებინა.

მას შემდეგ საქართველოს მრეწველობის ეს ორი დარგი იძულებული გახდა ახალი ბაზრები მოეძებნა და ამასობაში ხარისხის სტანდარტების მნიშვნელოვნად გააუმჯობესა. ალბათ, დროა რუსეთი აღნიშნულ შედეგებში დარწმუნდეს.

რუსეთის მთავრობამ უნდა განიხილოს ქვემოთ ჩამოთვლილი ზომების განხორციელება:

- შეარბილოს მაღალი თანამდებობის პირების და სამინისტროების მიერ საქართველოს ხელისუფლების შესახებ გაკეთებულ განცხადებებში გამოყენებული რეტორიკა და დაიწყოს რეგულარული სამუშაო დონის კონსულტაციები
- არსებული კანონმდებლობის ფარგლებში გამოძებნოს მექანიზმები რუსეთში გამგზავრების მსურველი საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო პროცედურების გასამარტივებლად, მაგ. გადასახადების შემცირების გზით
- ღიად და საჯაროდ წაახალისოს რუსეთში შესვლა და დააზუსტოს ვიზის გაცემის პროცედურები
- გადახედოს ქართული ღვინის და მინერალური წყლის სანიტარულ ხარისხს. გააუქმოს აკრძალვა პროდუქციის იმპორტზე მოქმედი სტანდარტების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

შემდგომში, განვიხილავთ თუ როგორ შეუძლია ობამას ადმინისტრაციას შეცვალოს აშშ პოლიტიკა რათა ხელი შეუწყოს კონფლიქტის მოგვარებას.

2008 წლის აგვისტოს ომის ახალი ნარატივი

2008 წლის აგვისტოს ომი შესაძლოა ისეთ დიდ ემოციებს აღარ იწვევს მხარეთა მხრიდან, თუ არ ჩავთვლით სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას, რომელმაც ომის მთვარი დარტყმა საკუთარ თავზე მიიღო. მიუხედავად ამისა, აზრი იმის შესახებ თუ "ვინ დაიწყო ომი" ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად განსხვავებულია. კარგი იქნება, თუ პროგრესის და შერიგების გულისთვის ამ უთხმოებებს გვერდზე გადავდებთ, მაგრამ ფაქტია, რომ ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერპრეტაციები პროგრესის შემაფერხებელი ფაქტორია. ისინი ჩვენთვის ცნობილ ფაქტებს არ შეესაბამებიან.

უთანხმოებების გვერდზე გადადებას მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს აზრი, თუ მას ყველა მხარე ეთანხმება. ასეთი მიდგომა ამჟამად მხოლოდ რამდენიმე გარეშე მონაწილის მხარდაჭერით სარგებლობს. ამასთან, მაშინაც კი, თუ მხარეები "შეთანხმდნენ, რომ არ ეთანხმებიან", საბოლოოდ, ასეთი წარმატების მიღწევის შეზღუდვული შესაძლებლობები ცხადი გახდება. კომპრომისი და ნდობის ატმოსფეროს

შექმნა შეუძლებელი თუ არა, რთულია, როდესაც კონფლიქტის მხარეები ჯერ კიდევ თვლიან, რომ სხვები დამნაშავეები, შინაგანად აგრესიულები და მოუნანიებლები არიან.

რუსეთის მთავრობას და სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის ხელისუფლებებს ჯერ კიდევ მიაჩნიათ – ან ამბობენ, რომ მიაჩნიათ – რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა წამოიწყო *რეკონკისტა* ომი სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის უგულებელყოფით ან მათი ფიზიკური უსაფრთხოების განზრახ ფეხქვეშ გათელვით. შესაბამისად, ისინი თვლიან, რომ ყველა ქმედება, რაც მათ განახორციელეს და რასაც 7 აგვისტოს შემდეგ კვლავ ახორციელებენ, გამართლებული და აუცულებელია. ფაქტიურად, ყველა სიტუაციაში, სადაც რუსეთის ქმედებები შეიძლება კითხვის ქვეშ დადგეს, მთავრობის ოფიციალურ პირებს, დაწყებულს პრეზიდენტ მედვედევიდან და ქვემოთ, არ ავიწყდებათ "შეახსენონ" აუდიტორიას, რომ ომის დაწყების ერთაადერთი დამნაშავე პრეზიდენტი სააკაშვილია. ასეთი განცხადებების მიზანი სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის მიმართ რუსეთის პოლიტიკის და სააკაშვილის "რეჟიმთან" ურთიერთობაზე უარის თქმის გამართლებაა.

ამისგან განსხვავებით, საქართველოს მთავრობა და მისი მრავალი მხარდამჭერი დაჟინებით აცხადებენ, რომ ომის სცენარის ავტორი რუსეთია. ამით მან მის მიერ დიდი ხნის წინ დაგეგმილი შემოჭრის გეგმა განახორციელა, ან – როგორც დასავლეთში ზოგადად აცხადებენ - "თაღლითური პროვოცირების" გზით აიძულა საქართველოს მთავრობა მტრული ქმედებისაკენ, რაც ინტერვენციას გაამართლებდა.

საქართველოს მთავრობისათვის, რომელიც ამ ომს მუდმივად როგორც "საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესიას" ისე მოიხსენიებს, რთულია კონფლიქტის მოგვარების პროცესში რუსეთთან, როგორც პარტნიორთან ურთიერთობა, ან მოკლე ვადაში პროგრესის მიღწევის წინადადებებზე დათანხმება, რაც ხელს უშლის ომის უარყოფითი შედეგების სრულ რეაბილიტაციას.

წინამდებარე ქრონიკა სტატიის შესავალში აღწერილი საქართველოს მომავლის "ბერლინის კედლის" სცენარშიც ჯდება. თუ 2008 წლის აგვისტომ მსოფლიოს უბრალოდ საქართველოს მიმართ რუსეთის თანდაყოლილი მტრული დამოკიდებულება აჩვენა, მაშინ, ლოგიკის თანახმად, საქართველო თავისი სამხედრო შეიარაღების უზარმაზარი მარაგებით კავკასიური ბერლინის კედლის თბილისის მხარეს უნდა ჩასაფრდეს, რათა ყველანაირად შეეცადოს დაუცხრომელი მტერი ახლოს არ მიუშვას და მომლოდინე პოზიციაში დარჩეს იმდენ ხანს, რამდენიც აუცილებელი იქნება. ამ თვალზარისით, რუსეთთან, აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან კონფლიქტის მოგვარების მიზნით თანამშრომლობა უკეთეს შემთხვევაში უაზროა, ხოლო უარეს შემთხვევაში ღალატი.

ეს ორი პოლარიზებული ქრონიკა ჭეშმარიტების ელემენტებს შეიცავს, მაგრამ ბოლომდე ზუსტი არცერთი არ არის. ისინი შეიცავენ სავარაუდო კავშირს იმ ანტაგონიზმს, ურთიერთის მიმართ ეჭვების და საომარ გეგმებს შორის, რომლებიც 2008 აგვისტოს იმ საბედისწერო დღეებამდე და ომის დაწყებამდე არსებობდა.

ორივე მხარეს იყვნენ ისეთები, რომლებიც აგრესიულ განზარხვებს მალავდნენ. ბევრს ეჭვი ჰქონდა, რომ მეორე მხარე სავარაუდოდ ომის დაწყებისთვის ემზადებოდა, შეიმუშავეს გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე რეაგირების გეგმები, მათ შორის წინმსწრები მოქმედების და დარწმუნდნენ, რომ ომი მოსალოდნელი იყო და შესაბამისადაც იმოქმედეს.

მაგრამ 2008 წლის აგვისტოს ომის უშუალო მიზეზი არ ყოფილა აგრესიული განზრახვები, საომარი გეგმები ან რეაქციები გაცნობიერებულ საფრთხეებზე. ომის წინა თვეებში ყველა ამ ფაქტორმა ერთად რეგიონში უსაფრთხოების თვალსაზრისით უაღრესად დაძაბული და საშიში გარემოს შექმნას შეუწყო ხელი. საომარი მოქმედებები კი დაიწყო მაშინ, როდესაც სიტუაცია ზღვარს გადავიდა და დაიწყო შემთხვევითი ომი, რომელმაც გაუთვალისწინებელი, სავალალო და, ხშირ შემთხვევებში, ტრაგიკული შედეგები გამოიწვია.

არც საქართველოს და არც რუსეთს – ამ შემთხვევაში, არც სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას - 2008 წლის აგვისტოში ომი არ დაუწყია და არ ჩაუფიქრებია. და მათ, რა თქმა უნდა, იგი არ წამოუწყიათ იმ მიზნით, რომ დაეპყროთ სამხრეთ ოსეთი, დაეპყროთ საქართველო, მოეწყოთ ქართველების ეთნიკური წმენდა სამხრეთ ოსეთში. ეს, არსებითად, ყველა მხარის მიერ განუზრახავი ომი იყო.

წინამდებარე ქრონიკა ბრალს არ დებს არც ერთ მხარეს, არ ამართლებს სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულებს, ან მალავს უთანხმოებებს, არამედ იგი რაც შეიძლება ზუსტად ასახავს ფაქტებს ისე, როგორც ეს ჩვენთვის არის ცნობილი – და იგი არ წარმოადგენს ჩვენს დედუქციურ დასკვნებს გაცხადებული და გაუცხადებელი განზრახვების შესახებ.

ეს არის ქრონიკა, რომელიც კონფლიქტის მოგავრებაში დაინტერესებულმა ყველა გარეშე მონაწილემ უნდა გაიზიაროს და საჯარო და კერძო შეხვედრების დროს მასზე აქცენტი გააკეთოს. ამასთან ერთად, მათ კონფლიქტის მხარეები და განსაკუთრებით რუსეთი და საქართველო უნდა დაარწმუნონ ასეთი ინტერპრეტაციის მიღებაში. თითოეული მხარის მიერ საკუთარი პოლარიზებული ინტერპრეტაციის დაცვა კონფლიქტის მოგვარების საქმეს გაცილებით ართულებს.